# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 23 აპრილი, 2013 წელი.

№75 (7202)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით მტრის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ილია ჭავჭავაძე


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# „ჩვენ ცოცხ-(ლ)ები ვართ“... (3)





რატომ „ჩუქნიდნენ“ კერძო პირები მილიონებს ნაციონალებს? (3)



## „საკუთარი სისხლი დამალევინეს“ (5)

## ნაციონალური მოძრაობა ყრუ თავდასხმაში უნდა გადავიდეს (4)

## უგულავამ და ახვლედიანმა იპოვეს ის ფირმა, რომელიც აწყობდათ და ტენდერშიც გაამარჯვებინეს (6)

## საქართველოში 2008 წლის ომის ახალი გამოკვლევა დაიწყება? (8)

## კომპიუტერის თაობა უწიგნური გახდა! (5)



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ვიზიტი

# საქართველო დაჩქარებული ტემპებით შეასრულებს ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს

**ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სტრასბურგში, ევროპის საბჭოს პრეზიდენტ ჟან კლოდ მინიონთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

მისივე თქმით, პირველი ვიზიტის მიუხედავად, შეხვედრა განსაკუთრებით თბილ გარემოში წარიმართა და ურთიერთობებიც „მარტივად განვითარდა".

— ჩვენ მოკლედ შევეხეთ იმ ვალდებულებებს, რომლებიც საქართველოს აქვს ევროსაბჭოს წინაშე. მე დავარწმუნე ევროპის საბჭოს პრეზიდენტი, რომ ახალი მთავრობა დაჩქარებული ტემპებით, აუცილებლად შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს. ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რომელიც გვაქვს ჩვენს დიდ მეზობელ რუსეთთან. დავგეგმეთ ამ ურთიერთობის დალაგების და განვითარების შესაძლებლობები, ასევე, სხვა საკითხები, რაც ევროკავშირთან ჩვენს ინსტიტუციურ თანამშრომლობას ეხება, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟან კლოდ მინიონის ვიზიტი თბილისში, რომელიც მაისის ბოლოს შედგება.

— დარჩენილ დროში ვაჩვენებთ, რომ ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველომ უახლოეს დროში მოახერხოს ევროკავშირში ინტეგრაცია, — აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *



**ყველა დემოკრატი, რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოს იგი, აქ, სტრასბურგში, სასურველი სტუმარია, — ამის შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ჟან კლოდ მინიონმა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

აღნიშნული კომენტარი ჟან კლოდ მინიონმა მას შემდეგ გააკეთა, რაც კითხვა საქართველოს ახალ მთავრობასთან დაკავშირებულ მოლოდინებზე დაუსვეს.

ჟურნალისტის კითხვაზე, „სააკაშვილი თქვენი მეგობარი იყო და მის მიმართ ისე კრიტიკული არ იყავით, როგორც ახალი მთავრობის მიმართ. კონკრეტულად რას ელოდებით ახალი მთავრობისგან?!", — ჟან კლოდ მინიონმა აღნიშნა, რომ მას მეგობრები არ ჰყავს.

„უპირველეს ყოვლისა, მე ვარ დემოკრატი და ამ დროისთვის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი. მე ვილებ სტუმრებს, იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, თუ მინისტრები. როდესაც პრემიერ-მინისტრი დატოვებს სტრასბურგს, თქვენ შეგეძლებათ თქვათ, რომ ისიც ჩემი მეგობარია. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრამ მეგობრულ გარემოში ჩაიარა და გულითადი საუბარი შედგა. ყველა დემოკრატი, რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოს იგი, აქ, სტრასბურგში, სასურველი სტუმარია. მე არ გამოვხატავ აზრს იმ არჩევანზე, რომელსაც ევროპელები აკეთებენ თავისუფალი არჩევნების გზით. საჭიროდ არ ვთვლი, მივცე შეფასება იმ არჩევანს, რომელიც ქართველებმა გასულ წელს გააკეთეს. ამის გაკეთება საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ან ევროპის საბჭოს კომპეტენცია არ არის. ყოველ წელს კეთილი იყოს თქვენი მობრძანება აქ, დემოკრატიის სახლში. თქვენ აქ შეგიძლიათ იყოთ, როგორც საკუთარ სახლში", — განაცხადა ჟან კლოდ მინიონმა.

ერთობლივი განცხადებების ამსახველი ვიდეომასალა ბიძინა ივანიშვილის „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე განთავსდა.

პრემიერ-მინისტრი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს სტრასბურგში ვიზიტის ფარგლებში შეხვდა.

ფეისბუქიდან

# წერტილოვანი ფრაზები

● კონან-დოილისთვის არტურა უნდა დაერქმიათ და სააკაშვილისთვის მიხეილი?
რაზვე ეტო ნარმალნო???!!!!!

● Слишком долгое ожидание создает ощущение ненужности!!!
გეყურებათ!!!

● თუ შენი ხალხი გესირცხვილება,თუ ყველას დასცინი და არაფრად აგდებ,თუ მხოლოდ ერთი ,შენთან დაახლოებული ჯგუფი მიგაჩნია ადამიანებად და ყველა სხვა გოიმი და ბნელია,მაშინ რაღა გინდა ასეთი ქვეყნის სათავეში?შემოავლე ლობე შენს სახლს, იკონტაქტე მარტო იმ „კარგებთან"" და დაანებე დანარჩენ „გოიმებს" და „ბნელებს",იცხოვრონ ისე,როგორც მათ სურთ! ესაა დემოკრატიული ბუნება და არა ის,რომ ცემა-ტყეპით ხოცო ხალხი — ჩემნაირი რატომ არ ხარო! ასე არ არის?

● თაგვმა თხარა თხარაო დაემართათ „ეროვნულებს"... არ მოისვენეს, სანამ ყველას არ დაანახეს „40% ნაციონალურად". გაგიხმეთ სკრუპულოზურად მთვლელი თავები !!

● 10 ათასი ნაციონალი ბიუროკრატის და რამდენიმე რუსეთის მოქალაქის შეკრება ვერანაირად ვერ იქნება ეროვნული მოძრაობა. დუბაიში, ავსტრიაში და ტაილანდში ხალხის ფულების მხარჯავი ნახევრად კრიმინალური ძალა არც ეროვნულია და არც ინტერნაციოლური. ეს კლეპტოკრატიაა.

● სერიოზულად მეშინია გიგა ბოკერია საბოლოოდ ისე შეაძულებს დასავლეთს ქართველ მოსახლეობას, რომ ახალ რეფერენდუმს მოაწყობინებს და 90 პროცენტით შევლენ რუსეთში. გიგა, 1 წელი მაინც მოგეკეტა, რაღა ვქნა!

● ისე, მაგარი სირცხვილია მართლაც თუ ამომრჩევლის მხოლოდ ეს რაოდენობა უჭერს მხარს დასავლურ ორიენტაციას, მაშინ ის დროა, ჩვენ აქეთ მოვიწვიოთ რუსეთი ჩვენთან კავშირში თუ ალიანსში...




● პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფას, რადიო „თავისუფლებისთვის" მიცემულ ინტერვიუში განუცხადებია, რომ ქართული დემოკრატიის ამოცანა ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ყოფილა!?

● თუ მართლაც ასეა, მაშინ შევარცხვინე ქართული დემოკრატია! თუმცა, მე უფრო მგონია, რომ უსუფას განცხადება, „ძაღლი ძაღლის ტყავს რომ არ დახევს", ამის კლასიკური მაგალითია!!!

● ვაშაძემ: ახლა მე მინდა ვთხოვო სცენაზე დავით ბაქრაძესო. სცენაო, წამოსცდა, ჩვენ კი ვიცით, რომ თეატრია.

● როგორც იქნა გავიგე !!!

● სასჯელაღსრულების სისტემასა და პროკურატურაში არსებული პრობლემები სატურნის ზეგავლენის შედეგი ყოფილა.

● დეფი ყოფილა არისტოკრატი და ბიძინა ივანიშვილი მდაბიო!!!!! სწორედ ამ უნიჭო ე. წ. მწერლის გამონათქვამები არის პლებეობის მაჩვენებელი, ეს ის კატეგორიაა, რომელიც ვაკე-ვერა-საბურთალოს გარდა, სხვა ყველას მდაბიოდ რომ თვლის, არადა, თავად არის ჭაობისა და პლებეობის წარმომადგენელი.ასეთ სულიერებს სხვა დროში რომ ეცხოვრათ ილია ყვარლელი გოიმი, აკაკი საჩხერელი გოიმი, გალაკტიონი ჭყვიშელი გოიმი ,კონსტანტინე აბაშელი გოიმი და ა.შ.იქნებოდნენ, არადა, თავად არიან უნიჭობის განსახიერებანი და თავიანთი უნიჭობის დასაფარად სხვისი დამცირება გაუხდიათ საქმედ.მე ესე ვიტყოდი — ქართული მწერლობის სირცხვილია, რომ მწერლად იწოდება ისეთი უნიჭო და მდაბიო სულიერების მქონე არსება, როგორიც შენ ხარ დეფიიიი!!!!!

● მე ზურაბ ადეიშვილი ვარ საქართველოდან გაქცეული და მინდა, დღეს დავარღვიო დუმილი და ყველაფერი ვთქვა, რაც ხდებოდა ამ ცხრა წლის განმავლობაში... დიახ, მე მინდა ყველაფერი ვთქვა, რაც ვიცი ციხის ამბების შესახებ. ამ საქმეში ვანო მერაბიშვილი დამნაშავე, რომელიც მეთაურობდა ყველა იმ საშინელებას, რაც ხდებოდა იმ დროს ციხეებში, ასევე ლაფანყურის ამბებიც მაგის ერთ-ერთი საგმირო საქმეა. მე მარტო ვანო მერაბიშვილს არ ვადანაშაულებ იმ ამბებში, რაც ხდებოდა იმ დროს საქართველოში, ამ საქმეებს ძირითადად საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეკვეთით ასრულებდა ვანო მერაბიშვილი, ასევე ძმები ახალაიები, მისი ქვეშევრდომები და შემსრულებლები იყვნენ და არაერთი ბოროტება აქვთ ჩადენილი. მე მზად ვარ, ჩამოვიდე და სამართალდამცველების ყველა კითხვას ვუპასუხო. მე არ გავურბივარ სამართალს და თუ დამნაშავე ვარ, მზად ვარ კანონის წინაშე წარვსდგე. მე ასევე მაქვს ის დამამტკიცებელი საბუთები, თუ სააკაშვილის ბრძანებით როგორ მოხდა 7 ნოემბერს მშვიდობიანი ხალხის დარბევა. ასევე, მისივე ბრძანებით დაარბიეს 26 მაისს მშვიდობიანი მოქალაქეები, რა დროსაც რამდენიმე ადამიანი ცემით მოკლეს. ბევრი მაქვს სათქმელი ხალხისთვის. მინდა, ხალხს ბოდიში მოვუხადო იმის შესახებ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვდუმდი და არ ვლაპარაკობდი. დიახ, აი ამიტომ ვარ მე დამნაშავე და არ მიკვირს, რომ ხალხს ჩემდამი ზიზღის გრძნობა აქვს...

**გია გაბრიჭიძე**

ხალხის აზრი

# NDI-ის გამოკითხვაში პატრიარქი კვლავ პირველობს

**გამოქვეყნდა 13-27 მარტს ჩატარებული NDI-ის კვლევები, რომლის შედეგებიც საზოგადოებას NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ წარუდგინა. გამოკითხვაში 3 103 ადამიანი მონაწილეობდა.**

გამოკითხულთა **92 პროცენტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოსწონს და მისი სჯერა.** ამ რეიტინგში **75 პროცენტმა მეორე ადგილზე პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გაიყვანა.** უნდა აღინიშნოს, რომ წინა გამოკითხვასთან შედარებით პრემიერის მოწონების მაჩვენებელი 5 პროცენტით შემცირდა. შემდგომ ადგილზე გადიან პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი,** უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **თინა ხიდაშელი, ეკა ბესელია, ზვიად ძიძიგური.** გამოკითხულთა 48 პროცენტს უმცირესობის ლიდერი **დავით ბაქრაძე** და 25 პროცენტს კი **პრეზიდენტი სააკაშვილი** მოსწონს.

რომელი პარტიაა საქართველოში ძლიერი ოპოზიცია? გამოკითხული მოსახლეობის 56 პროცენტმა პირველობა „ნაციონალურ მოძრაობას" მიანიჭა, 2 პროცენტს ძლიერ ოპოზიციად „ლეიბორისტული პარტია" მიაჩნია.

გრაფაში რომელი სტრუქტურის საქმიანობას აფასებენ ძალიან კარგად — გამოკითხულთა 16 პროცენტი მხარს **„ქართულ ოცნებას"** უჭერს, მას მოყვება ქართული ჯარი, ქართული პოლიცია, საქართველოს პარლამენტის საქმიანობა. **ძალიან ცუდად აფასებენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", სასამართლოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას.**

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

ალმოჩნდა, რომ პრეზიდენტის საქმიანობით აღფრთოვანებულია გამოკითხულთა 3 პროცენტი. პატრიარქისა და პრემიერის საქმიანობას დადებითად გამოკითხულთა 73 და 28 პროცენტი აფასებს.

მინისტრებს შორის ყველაზე კარგად იუსტიციის მინისტრის **თეა წულუკიანის** საქმიანობას აფასებენ (19 პროცენტი), ხოლო ყველაზე ცუდად შეფასდა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის **დავით დარახველიძისა** (5 პროცენტი) და სახელმწიფო მინისტრის ევროინტეგრაციის საკითხებში **ალექსი პეტრიაშვილის** (3 პროცენტი) საქმიანობა.

**ხალხს სჯერა, რომ „ქართული ოცნება" მოაგვარებს რუსეთთან ურთიერთობის** (68 პროცენტი), **სოფლის მეურნეობის** (67 პროცენტი), **ჯანდაცვის** (66 პროცენტი), **პენსიების** (65 პროცენტი), **სიღარიბის** (62 პროცენტი), **ადამიანთა უფლებების** (62 პროცენტი), **ტერიტორიული მთლიანობის** (59 პროცენტი), **კრიმინოგენური მდგომარეობის** (58 პროცენტი) პრობლემებს.

**რაც შეეხება ნატოში გაწევრებას, 54 პროცენტი მიიჩნევს, რომ მას „ქართული ოცნება" მოაგვარებს, 11 პროცენტი კი ამ მხრივ უპირატესობას „ნაციონალურ მოძრაობას" ანიჭებს.**

**პრემიერ-მინისტრის საქმიანობა ყველაზე კარგად ციხეებთან მიმართებაში შეფასდა.**

ინფორმაცია

# მთავარი პროკურატურა ზურაბ ჟვანიას საქმეზე სააკაშვილის ყოფილ ამერიკელ მრჩეველს დაკითხავს

**ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა და იქვე განმარტა, რომ სილვერმანის ჩვენებებიდან გამომდინარე, მოხდება იმ ინფორმაციის გადამოწმება, რაზეც სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი გაზეთ „ყველა სიახლესთან" მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.**

„ინტერვიუში პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი აცხადებს, რომ პროკურატურისთვის მიმართვას აპირებს, თუმცა, მისი განცხადება უწყებაში ჯერ შემოსული არ არის. განცხადების შემოტანამდე მისი დაკითხვა არ მომხდარა, მაგრამ წესით და რიგით, უნდა დაიკითხოს. მე, შესაბამისი მითითება არ გამიცია, მაგრამ ვფიქრობ, ამას გამომძიებელი თვითონ გააკეთებს. მისი ჩვენებებიდან გამომდინარე, მოხდება იმ ვერსიების გადამოწმება, რომელიც ინტერვიუშია გაცხადებული. ესაა ის, რასაც ითვალისწინებს კანონი", — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა გამოძიებას ინფორმაცია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეში არსებული მტკიცებულებების FBI-ის აგენტის მიერ განადგურების შესახებ, რაზეც ინტერვიუში სილვერმანი საუბრობს, მთავარი პროკურორი აღნიშნულზე კომენტირებისგან თავს იკავებს.

„მოგეხსენებათ, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) თანამშრომლები იყვნენ ჩამოსულები. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამერიკაში ვესაუბრე FBI-ს ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელმაც მითხრა, ვინ გაანადგურა ჟვანიას მკვლელობის საქმეში მტკიცებულებები. კერძოდ, აგენტმა ბრაიან კარმენმა აშშ-ის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის მითითებით გაანადგურა მოპოვებული მტკიცებულებები ჟვანიას მკვლელობის საქმეზე, რადგან მკვლელობის რეალური მიზეზი თუ გამოიკვეთებოდა, მაშინ სააკაშვილის იმიჯი შეილახებოდა, რაც ამერიკის პოლიტიკას დარტყმას მიაყენებდა", — აცხადებს სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი.

№75. სამშაბათი, 23 აპრილი, 2013 წელი.

# თეთრი ძაფით შეკერილი ბლეფი




**„ნაციონალურმა მოძრაობამ“ რეინკარნაცია განიცადა და სახელი გადაირქვა. ამიერიდან, „ნაციონალურ მოძრაობას“ სახელწოდება „ეროვნული მოძრაობა“ ჩაენაცვლება. თუმცა, ნაციონალების მცდელობამ, ეროვნულად წარმოეჩინათ თავი, უფრო მეტი კითხვა დაბადა საზოგადოებაში. ბევრმა ეს ცინიკურად აღიქვა, რადგან ჩვენი უახლესი ისტორიის მანძილზე, სწორედ ეროვნული მოძრაობა გახდა ქართველი ხალხისთვის საკრალური ცნება და იგი მართლაც ამართლებდა თავის დასახელებას, მაგრამ არა — ნაციონალების ხელში.**

ეს სახელცვლილება, განსაკუთრებით, ეროვნული წიაღიდან გამოსულმა ადამიანებმა აღიქვეს ფარისევლობად. მათ ახსოვთ ის დრო, როცა ერთი იდეით გაერთიანებული ხალხი იდგა რუსთაველზე და მზად იყო, ერთმანეთის გადასარჩენად ტყვიას აფარებოდა. ნაციონალების თავყრილობა კი ასეთ მუხტს არ შეიცავდა. 19 აპრილს, რუსთაველის გამზირზე, სადაც ეროვნული მოძრაობა ყალიბდებოდა, 9 აპრილის გმირების ნაკვალევზე იდგნენ სისხლიანი 7 ნოემბრისა და 26 მაისის ავტორები. მათ შორის, სააკაშვილი და მერაბიშვილი და რატომღაც „საქართველო, საქართველოს“ სკანდირებდნენ...

ამდენად, კითხვებს ბადებს, რატომ შეაჩერეს ნაციონალებმა არჩევანი მაინცდამაინც სახელწოდებაზე „ეროვნული მოძრაობა“, მაშინ, როცა მათ მუდმივად იმას უყენებდნენ პრეტენზიად, რომ ეროვნულისგან და საერთოდ, ადამიანურისგან დაცლილნი იყვნენ?!

ამასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კობა დავითაშვილმა იუმორით შენიშნა, „5%-იანი ზღვარის გადალახვის პრობლემა აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ და რაის ეროვნული მოძრაობა?!“

ნაციონალების ახალი სახელწოდების შესახებ For.ge ეროვნული მოძრაობის წიაღიდან გამოსულ ადამიანებს ესაუბრა.

**მამუკა გიორგაძეს ნაციონალების ეროვნულობის არ სწამს და ახსენდება გამოთქმა, „ჩოხას კი ნუ იცვლი, ზნე გამოიცვალე“. ამიტომ მიაჩნია, რომ „ნაცმოძრაობას“ სახელი ვერ გააკეთილშობილებს.**

მამუკა გიორგაძისთვის ეროვნული მოძრაობა ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც ინსტიქტურად განიცდის სამშობლოს ტკივილს. ამიტომ, ახლაც, ეს შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს და არა პოლიტიკური კონიუნქტურა. ამ დროს კი, ნაციონალების შინაგანი მოთხოვნილება ხელისუფლებისკენ და კეთილდღეობისკენ ლტოლვაა.

მისივე თქმით, რუსთაველზე „ნაცმოძრაობის“ გამოჩენა, პრაქტიკულად, დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკის შეფასებაა, რომელმაც „ნაცმოძრაობას“ საშუალება მისცა, ჩამოყალიბებულიყო მეორე პოლიტიკურ ცენტრად. საქართველოში ჯანსაღი ვითარება რომ ყოფილიყო და „ნაცმოძრაობის“ ვერშემდგარი, დანაშაულებრივი ნარჩენები პოლიტიკურ სარბიელზე ასეთი აქტიური გონორით არ გამოსულიყვნენ, პროკურატურას თავისი საქმე უნდა გაეკეთებინა და პოლიტიკურ ხელძღვანელობას — თავისი საქმე. დღეს კი პოლიტიკურად საქართველოს არ შეუფასებია „ნაცმოძრაობის“ მოღვაწეობა, რაც ხელშეწყობაა „ნაცმოძრაობისთვის“.

**„თავის დროზე რუსთაველის გამზირზე, კიბეებზე რომ ვიდექით, თითოეული მომიტინგე მზად იყო, ღმერთი და სამშობლო ედიდებინა და საკუთარი განდიდებისკენ არ გადაედგა ნაბიჯი. ეროვნული მოძრაობის უკვდავი ფრაზაა — „ეროვნული მოძრაობა უნდა გიყვარდეს და არა — საკუთარი თავი ეროვნულ მოძრაობაში“. მერაბ კოსტავას ეს ფრაზა თუ არ გაქვს გასისხლხორცებული, ვერ იქნები ეროვნულ მოძრაობაში, თუ შინაგანად არ გინდა რუსეთის უკანდახევა, ვერ იტყვი იმ გრძნობით, რა გრძნობითაც გია ჭანტურიამ თქვა, რომ კრემლმა უკან დაიხია. 1988 წლის 28 ნოემბრის შიმშილობის დროს გულწრფელი დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოებას. პირადად ვარ შემსწრე, თუ როგორ გახადა ერთ-ერთმა გამვლელმა, ფეხმძიმე ცოლს თბილი მოსაცმელი, თვითონაც გაიხადა, ჩასვა მანქანაში და სახლში წაიყვანა, თბილი მოსაცმელი კი მოშიმშილეებს დაუტოვა“,** — იხსენებს მამუკა გიორგაძე.

**ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ რუსთაველის გამზირზე თეთრი ძაფით შეკერილი ბლეფი განხორციელდა — ნაციონალები ეროვნულობას ამოეფარნენ, რადგან სააკაშვილს ასეთი როლი აქვს დაკისრებული, რომ მან უნდა შექმნას, ვითომ, ეროვნული მოძრაობა.**

ამას ნოდარ ნათაძე იმით ხსნის, რომ ბოლო ხანს, რუსი იდეოლოგები — დუგინი და სხვები აქტიურად წერენ, რომ საქართველოში ყველა ნაციონალისტია და გაბატონებულია ნაციონალური მსოფლგანცდა. ამიტომ, რუსეთს თუ სურს საქართველოში თავისი ინტერესები გაატაროს, უნდა შექმნას საკუთარი ნაციონალისტური ორგანიზაციები. აქ საუბარია ფსევდონაციონალისტურ ორგანიზაციებზე, რომლებიც, სინამდვილეში, რუსეთის პირწმინდა აგენტები იქნებიან. ამდენად, **„სააკაშვილის ნაბიჯიც ამ პროგრამის ნაწილია და ნაციონალები რუსეთის პირწმინდა აგენტები არიან“**. თუმცა, ნოდარ ნათაძე მიიჩნევს, რომ ნაციონალების გარდა, სხვებიც დაუმიზნებენ ეროვნულ ნიშას.

**„ჩვენ აუცილებლად განვაახლებთ ეროვნულ მოძრაობას, ნაციონალების ადგილი კი სანაგვეში იქნება. სხვათა შორის, ნაციონალების აქციის დროს დრამატული თავგადასავალი გადამხდა. საჯარო ბიბლიოთეკიდან გამოვედი და ლესელიძეს ჩავუყევი, ერთმა ხანშიშესულმა ქალბატონმა გამაჩერა და მკითხა, რა აზრის ხართ, რაც ხდება რუსთაველზეო? ვუთხარი, ესენი არიან ნაძირალები-თქო. ამ დროს ერთმა ახალგაზრდა გოგონამ იწყინა, მე ნაძირალა ვარო? შეიძლება, საქართველო რუსეთის ხელში ჩავარდესო? როგორც ჩანს, პატრიოტული მუხტის მქონე ეს გოგონა სააკაშვილს მიემხრო, რადგან მათში ვითომ დასავლური განწყობილება დაინახა. ივანიშვილის გუნდი ისეთ პიროვნებებს შეიცავს, რომელთა დატოვებაც შეუძლებელია, თორემ მისი იმედი მქონდა,“** — აცხადებს ნოდარ ნათაძე.

**ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს ერთნაირი რეაქცია ექნებოდათ ნაციონალების ამ ახალ სახელდებაზე, რადგან ეროვნული მოძრაობა მართლაც ეროვნული მუხტის მქონე სულ სხვა მოძრაობა იყო და მისი გაიგივება ჩვეულებრივ პოლიტიკურ მოძრაობასთან გამართლებული არ არის.**

მეორე მხრივ, ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ ერთგვარი ფანდი გამოიყენა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, მან გადმოაქართულა თავისი სახელი და „ნაციონალური მოძრაობა“ თარგმნა „ეროვნულ მოძრაობად“, რადგან მათ აქვთ განახლების, რებრედინგის პრობლემა და, როგორც ჩანს, ამ რებრედინგის ნაწილში შედიოდა სწორედ ეს მახასიათებელი.

ამიტომ ფიქრია ჩიხრაძის აზრით, ახალმა ხელისუფლებამ კარგად უნდა გაისიგრძეგანოს ის რეალობა, რათა „ნაციონალურ მოძრაობას“ არ მისცეს ისეთი არგუმენტები, რომლითაც ისინი გადაწყვეტენ ძველ ეროვნულ მოძრაობასთან დანათესავებას.

**„ეს არგუმენტებია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, დასავლური ორიენტაციისთვის ბრძოლა, რასაც შეეწირნენ არა მარტო ჩვენი დროის ეროვნული მოძრაობის თაობები, არამედ რუსეთთან ურთიერთობის განმავლობაში, არაერთი თაობა, არაერთი აჯანყება და გაბრძოლება მოხდა ამ მიმართულებით. ეს ყველაფერი ეროვნული მოძრაობის ისტორიაა. ეროვნული მოძრაობა ემოციურად და შინაარსით დატვირთული პერიოდი გახლდათ საქართველოს ცხოვრებაში. 19 აპრილს კი ამ მოედანზე იდგა „ნაციონალური მოძრაობა“, ვანო მერაბიშვილის მეთაურობით, რასაც დიდი უხერხულობა ახლდა“,** — აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

მისი თქმით, თავის დროზე ეს ადამიანები რუსთაველზე გამოსულ მომიტინგეებს ცინიკურად ექცეოდნენ, დასცინოდნენ და სხვადასხვა ეპითეტებით ამკობდნენ. ახლა კი პროტესტის იგივე ფორმა დასჭირდათ, როცა თვითონ აღმოჩნდნენ ოპოზიციაში. ამიტომ, ფიქრია ჩიხრაძისთვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო აქციის მთავარ მასპინძლად ვანო მერაბიშვილის ხილვა, რომელიც 26 მაისს სადისტურად დარბეული მიტინგის დროს, შს მინისტრი გახლდათ.

**მანანა ნოზაძე**

---

**მოძალადეთა ხელწერა**

# რატომ „ჩუქნიდნენ“ კერძო პირები მილიონებს ნაციონალებს?

2004-2007 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების საერთო ღირებულებამ შეადგინა 137 837 077 ლარი, 6 003 080 აშშ დოლარი და 10 100 ევრო, — ამის შესახებ ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ აქვეყნებს.

— როგორც აღმოჩნდა, 2004-2005 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 4 449 292 ლარი და 218 500 აშშ დოლარი შეადგინა, 2006 წელს ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ ჯამში 9 990 898 ლარი, 5 616 800 აშშ დოლარი და 10 100 ევრო შეადგინა, 2007 წელს კი ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 123 396 887 ლარსა და 167 780 აშშ დოლარს გადააჭარბა. სახელმწიფოს ამ პერიოდში ჩუქნიდნენ როგორც მოძრავ, ასევე უძრავ ქონებასა და სამეწარმეო წილებს.

ინფორმაციის დამუშავების პროცესში რამდენიმე საეჭვო შემთხვევაც გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოსთვის ძვირადღირებული ქონების ჩუქების ან სიმბოლურ თანხად 1 ლარად მიყიდვის „სურვილი“ სახელმწიფო კომპანიებს, მუნიციპალიტეტებს თვითმმართველი ქალაქების გარდა, მრავალ კერძო კომპანიას და ფიზიკურ პირსაც უჩნდებოდა, — ნათქვამია ორგანიზაციის სტატიაში.

სტატიის მიხედვით, ამ პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ფიზიკურმა პირმა კურორტ „საირმეში“ 220 000 ლარად შეფასებული 3 694 კვ.მ. ფართი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს.. შპს „სნაიპერმა“ 182 500 აშშ დოლარის ღირებულების 500 ცალი პისტოლეტი „იერიხო“ აჩუქა სახელმწიფოს.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა რომ, ცალკეული ფიზიკური თუ იურიდიული პირები სხვადასხვა სახის ავტომანქანებს უსასყიდლოდ გადასცემდნენ სახელმწიფოს. მათ შორის ერთ-ერთმა ფიზიკურმა პირმა სახელმწიფოს 81 000 ლარის ღირებულების BMW მარკის ავტომობილი აჩუქა. 2006 წელს კომპანია „მათე მოტორსმა“ 66 497 ლარის ღირებულების „ტოიტა პრადო“ გადასცა სახელმწიფოს.

ამავე პერიოდში შპს „გოგირდის აბანომ“ 650 000 აშშ დოლარად შეფასებული შენობა — ნაგებობები გადასცა სახელმწიფოს. 2006 წელს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ღირებულების უძრავი ქონება — 1 227 554 ლარად შეფასებული თბილისში დადიანის ქუჩა №28-ში მდებარე შენობა საერთო ფართით 412 კვ.მ და მისი მიწის ნაკვეთი ფართით 566 კვ.მ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს.

2006 წელს სახელმწიფოსთვის ნაჩუქარ ქონებაში ფიგურირებს რიყის ტერიტორიაზე უძრავი ქონების ჩუქების ფაქტებიც. ამ ტერიტორიაზე უძრავ ქონებას სახელმწიფოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებიც ჩუქნიდნენ.

შვიდმა ფიზიკურმა პირმა თბილისში რიყის ტერიტორიაზე მდებარე 2 000 000 აშშ დოლარის ღირებულების ფართი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. შპს „ნატვრის ხემ“ კი ამავე ტერიტორიაზე 650 000 აშშ დოლარად შეფასებული უძრავი ქონება აჩუქა სახელმწიფოს.

2007 წელს შპს „ჯორჯიან ეარვეისმა“ №182 924 ლარის ღირებულების TOYOTA PRADO7 TOYOTA CAMRY lf TOYOTA HILUX-ის მარკის ავტომობილები (ჯამში 75 ერთეული) აჩუქა სახელმწიფოს.

2007 წელს გამოვლინდა ყველაზე მეტი შემთხვევა, როდესაც ფიზიკური პირები უსასყიდლოდ გადასცემდნენ სახელმწიფოს ქალაქის ცენტრში მდებარე უძრავ ქონებას. ჯამში ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფოსთვის გადაცემული უძრავი ქონება რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს.

— გამოვლენილი შემთხვევები ბადებს მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ ქონების სახელმწიფოსთვის მასიური გადაცემა ყველა შემთხვევაში არ ატარებდა ნებაყოფლობით ხასიათს და არ ასახავდა ქონების მესაკუთრის ნებას. შესაბამისად, ჩვენი ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა დაზარალებულ პირს მიმართოს ჩვენს სამართლებრივი დახმარების ცენტრს და გაიაროს შესაბამისი კონსულტაციები, — ნათქვამია ორგანიზაციის სტატიაში.

**ინტერპრესი**



**უპერსპექტივონი**

*გამოძიება დღეს უფრო სწრაფად რომ მიმდინარეობდეს, „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე პოლიტიკური ძალა ვერ იქნებოდა - მიიჩნევს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე და ამგვარი სიტუაციის კორექტირების სურვილს გამოთქვამს.*

*იგი არ მალავს, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადება მესამე პოლიტიკური ძალის შესახებ „ძალიან არ მოეწონა“.*

*„ერთადერთი, რაც ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში არ მომეწონა, ეს იყო მესამე პოლიტიკური ცენტრის თაობაზე, რადგან მე არ მინდა, რომ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ მეორე პოლიტიკურ ცენტრად „ნაციონალურ მოძრაობას“ თვლიდნენ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობამ „ნაციონალურ მოძრაობას“ ნათლად უთხრა — არა. არჩევნები თავისუფალი და დემოკრატიული არ იყო, ის გაყალბდა. პარლამენტში არსებული დღევანდელი ბალანსი ნამდვილად არ ასახავს მოსახლეობის არც პირველი ოქტომბრისა და არც დღევანდელ განწყობას. „ნაციონალურ მოძრაობას“ ამ არჩევნებში 40% ნამდვილად არ მიუღია“, — მიიჩნევს ნინო ბურჯანაძე.*

*ამდენად, სამართლიანობის აღდგენის პროცესს მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს ლეგიტიმური, ძალიან მნიშვნელოვანი პრეტენზიები, რომლებსაც პასუხი ჯერ არ გასცემია.*

*მისივე თქმით, საკანონმდებლო ბაზაში ბევრი ცვლილების განხორციელებაა საჭირო იმისთვის, რომ ქვეყანაში ოპოზიციური სპექტრი გაძლიერდეს და არა მარტო ერთი პარტია არსებობდეს, არამედ იყოს სხვა ოპოზიციური პარტიებიც, რისი სურვილიც ბიძინა ივანიშვილმა გამოხატა.*

*დამოკიდებულია თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ არსებობა-არარსებობა გამოძიების სამართლიანად წარმართვასთან?! თუკი ქვეყანაში სამართალი აღდგება, მაშინ სად იქნება ოპოზიციონერობას ამოფარებული ნაცმოძრაობის ადგილი?! ასეთ შემთხვევაში, ვინ დაიკავებს მეორე პოლიტიკური ძალის პოზიციას?! ამ საკითხებზე For.ge ექსპერტებს ესაუბრა.*

# „ნაციონალური მოძრაობა ყრუ თავდაცვაში უნდა გადავიდეს“



ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში **ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ დღესდღეობით რაიმე სხვა კრიტერიუმი, გარდა იმისა, რომ პარლამენტში წარმოდგენილია ორი ძალა, პოლიტიკური ძალების დასათვლელად საქართველოში არ არსებობს. ეს არის ერთადერთი რეალობა, რასაც ვხედავთ. რა თქმა უნდა, ის პროცენტები და ხალხის რაოდენობა, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს დღევანდელ პარლამენტში, არ არის ადეკვატური მისი პარტიის რეიტინგთან. უფრო მეტიც, არც დღეს და არც ოქტომბერში „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ჰქონია დიდი მხარდაჭერა, მაგრამ თავად ბურჯანაძე ამ არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდა, რაც ვახტანგ ძაბირაძის აზრით, სწორი გადაწყვეტილება იყო.

ექსპერტის თქმით, ყველა შემთხვევაში, როგორი უსუფთავესი არჩევნებიც არ უნდა ყოფილიყო, ოქტომბერში ნაცმოძრაობა ბარიერს გადალახავდა. დანარჩენმა პარტიებმა კი, უბრალოდ, ბარიერი ვერ გადალახეს. ამიტომ, მოგვწონს თუ არა, დღესდღეობით, ეს რეალობაა. ამდენად, ვახტანგ ძაბირაძე მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადება სწორედ დღევანდელ რეალობას აფიქსირებს.

**„უკეთესი იქნებოდა, სოციოლოგიური გამოკითხვების საფუძველზე გვეთქვა, თუ რა მოხდება მომავალში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღესდღეობით „ნაციონალური მოძრაობა“ მართლაც ვერ შეძლებს ბარიერის გადალახვას. ამას როცა ვამბობ, სულაც არ ვთვლი, რომ დანარჩენი პარტიები გადალახავენ ამავე ბარიერს. უბრალოდ, დღეს არჩევნები რომ ჩატარდეს, ჩემი აზრით, 100%-იანი უპირატესობა ექნება კოალიციას, თუკი ის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, ვერ დავეთანხმები ქალბატონი ბურჯანაძის განცხადებას“,** — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

მისი თქმით, როგორც არ უნდა წარიმართოს გამოძიება, სავარაუდოდ, დიდად არაფერი შეიცვლება, რადგან მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რას გადაწყვეტს სასამართლო და რა განაჩენს გამოიტანს, თვლის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა ელიტამ, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან მძიმე შეცდომები დაუშვა და მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას თავისი განაჩენი ამ მოძრაობისადმი უკვე გამოტანილი აქვს.

**დღესდღეობით მეორე პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბების პერსპექტივას ვახტანგ ძაბირაძე რომელიმე სხვა ძალაში ვერ ხედავს. უფრო გულწრფელად თუ ვიტყვით, იგი ქვეყანაში ხედავს საშიშროებას, რომ არათუ დღეს ან ხვალ, ან საპრეზიდენტო არჩევნებზე, არამედ 2014 წელსაც კი, თუკი კოალიცია გამოვა, როგორც ერთიანი ძალა ივანიშვილის ლიდერობით, მან შესაძლოა, მთლიანად ყველა საკრებულოში გაიმარჯვოს და ადგილობრივ არჩევნებზე სრული უპირატესობა მოიპოვოს დანარჩენ პარტიებთან მიმართებით.**

**ეს კი, რეალურად, უკვე ამ ხელისუფლების პრობლემაა, რადგან, თუ ასე მოხდება, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ და მივიღებთ ისეთ პარტიულ სისტემას და პოლიტიკურ სტრუქტურას, როგორიც გვქონდა აქამდე. ანუ, ერთი პარტია, ამ შემთხვევაში, კოალიცია, იქნება ქვეყნის მმართველი პარტიაც და ხელისუფლებაც. ამით კი მოხდება პარტიისა და სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა.**

ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** ნინო ბურჯანაძეს ეთანხმება და მიიჩნევს, რომ, **პრაქტიკულად, „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე პოლიტიკური ძალა დანაშაულის ხარჯზე გახდა. NDI-ის გამოკვლევებმაც კი აჩვენა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი 40%-ს არ შეესაბამებოდა არჩევნებიდან ერთი თვის თავზე და იგი 10%-ს აღწევდა. ამდენად, გამოძიება იდეალურად რომ მიმდინარეობდეს, უპირველესად, ამ დანაშაულის გამო, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებზე აქვს დაშვებული, მისი ეს შედეგი გამოიწვევდა შესაბამის ქმედებებს, ანუ სხვა თუ არაფერი, მათ გაუუქმდებოდათ ადგილები. თუმცა, რამაზ საყვარელიძის აზრით, ძნელი სავარაუდოა ასე მოხდეს, რადგან ამ ქვეყანაზე ბევრი არაფერია იდეალური.**

ექსპერტის თქმით, ახლა რომც გააქტიურდეს გამოძიება, ყველა ასეთ ნაბიჯს „ნაციონალური მოძრაობა“ ზეწოლად გაახმოვანებს და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ეს უკვე გვიანია.

**„ნაციონალური მოძრაობა იყენებს მეორე პოლიტიკური ძალის სტატუსს თავისი თავის გადარჩენისთვის, რაც ეტყობათ კიდეც იმ ადამიანებს, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო რიგებში არიან. ფაქტია, რომ ბრალდებების მხრივ საპარლამენტო ჯგუფი უფრო აქტიურია, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლება“,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** მიიჩნევს, **რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ძალზე ძლიერი დარტყმა მიაყენა არჩევნების წაგებამ. ის, რომ ისინი მაინც ცდილობენ გავლენის შენარჩუნებას, ეს უპერსპექტივო მცდელობაა. ამიტომ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დღეს არსებობის შენარჩუნებაზე უფრო უნდა იფიქროს, ყრუ თავდაცვაში წავიდეს და აღარ მოებღაუჭოს პატარა გავლენის სფეროებს, რომლებიც მას კიდევ შერჩა კანონმდებლობის სახით, რადგან ყველა ეს კანონი შეიცვლება, რომელიც აქამდე მათ გავლენას განამტკიცებდა.**

სოსო ცინცაძის აზრით, **„ნაცმოძრაობა“, კლასიკური პოლიტიკური თეორიების გათვალისწინებით, გარემოების არაადეკვატურად იქცევა. ეს მაშინ, როცა მან ჩრდილში ყოფნა უნდა ამჯობინოს და ელოდოს, თუ როდის დადგება მისი საათი, თუკი საერთოდ დადგება ასეთი საათი. ეს კი, პირველ რიგში, დამოკიდებულია ახალი ხელისუფლების ქმედუნარიანობაზე. თუ ხელისუფლება ყველა სოციალურ პრობლემას გადაწყვეტს, „ნაციონალურ მოძრაობას“ ნაკლები შანსი ექნება, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დარჩეს, როგორც სერიოზული მოთამაშე. თუკი ხელისუფლებამ ეს ვერ შეძლო, მაშინ მეორადია ყველაფერი დანარჩენი — ომის გამოძიება, ბაჩო ახალაიას ციხეში ჩასმა-არჩასმა, უგულავას გადაყენება-არგადაყენება, გუბერნატორების თუ საკრებულოს წევრებში უმრავლესობის მოპოვება.**

**„პირველადი სოციალური პრობლემებია. როგორც ჩანს, „ოცნების“ ზოგიერთ აქტივისტს უჭირს აღიაროს, რომ ხალხმა მას, პირველ რიგში, კარგი ცხოვრების იმედით მისცა ხმა. გამიკვირდა, ლევან ბერძენიშვილისგან რომ მოვისმინე, ხალხმა იმიტომ კი არ აგვირჩია, პენსიები და ხელფასები გავზარდოთ, არამედ იმიტომ, რომ სამართლიანობა აღვადგინოთო. სამართლიანობის აღდგენა აუცილებელია, მაგრამ ეს კარგი ცხოვრების თანმხლები უნდა იყოს. 800 ბავშვი რომ იხოცება ჩვილ ასაკში საქართველოში, ამას ვერ უშველის იდეალური სამართლიანობა. თუმცა, ჯერჯერობით, „ნაციონალური მოძრაობის“ პერსპექტივა კრიზისულია“,** — აცხადებს პოლიტოლოგი.

ამასთან, მიიჩნევს, რომ, როგორც ჩანს, მეორე პოლიტიკური ძალის პრობლემა თვითონ პრემიერ-მინისტრსაც აწუხებს, თუმცა, მას ჯერჯერობით არ აქვს გადაწყვეტილი, როგორ აარიდოს თავი დღეს გარდაუვალ ერთპარტიულობას.

რაც შეეხება მეორე პოლიტიკურ ძალად ნაციონალების მოაზრებას, სოსო ცინცაძეს ეს არ უკვირს, რადგან, სავარაუდოდ, პარლამენტში ოთხი წელიწადის განმავლობაში ჯერ კიდევ ნაციონალთა ნამსხვრევები იქნება. რაც შეეხება მესამე პოლიტიკურ ძალას, პოლიტოლოგი აცხადებს, რომ ირმა ინაშვილს დიდ პატივს სცემს, რადგან ის სამოქალაქო სექტორში ბრწყინვალედ მოღვაწეობს, მაგრამ იგი, როგორც პარტიის ლიდერი, კითხვებს ბადებს. ამ გაგებით, ადამიანი, რომელიც კარგად აკეთებს ერთ საქმეს, მისი მიპატიჟება სხვა საქმეზე, სადაც მას გამოცდილება არ აქვს, არაკონსტრუქციულია.

ასეთივე შეხედულებისაა სოსო ცინცაძე სალომე ზურაბიშვილთან მიმართებით და მიიჩნევს, რომ ზურაბიშვილმა თავისი ვარსკვლავის საათი ხელიდან გაუშვა მას შემდეგ, რაც პოსტიდან გადადგომისას 80 ათასი ადამიანის ქუჩაში გამოყვანა შეძლო. ახლა შეიძლება, ის პრეზიდენტადაც დანიშნონ ან ნებისმიერ თანამდებობაზეც, მაგრამ ის იქნება მხოლოდ საშუალო დონის ჩინოვნიკი.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, სოსო ცინცაძის თქმით, მას პარტია აქვს, მაგრამ ის ცოტა დელიკატურ სიტუაციაშია, რადგან რას უნდა ნიშნავდეს დღეს ოპოზიციონერობა? მით უმეტეს, ისეთი ოპოზიციონერობა, როგორიც დღეს გახმიანდა? კონსტრუქციულ ოპოზიციონერობას ევროპაში სხვა ახსნა აქვს, ამერიკაში — სხვა ახსნა და საქართველოში ეს გაგება 180 გრადუსით განსხვავებულია.

უფრო ზუსტად, საქართველოში კონსტრუქციულად თვლიან ისეთ ოპოზიციას, როგორიც სააკაშვილს ჰყავდა პარლამენტში. დღევანდელი ნაციონალები კი არაკონსტრუქციულ პოზიციად ითვლებიან.

**მანანა ნოზაძე**

**ალიან-ჩალიანი**

### 100-ლარიანი ვაუჩერის განხორციელება შემოდგომამდე შეჩერდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განუცხადა, 100-ლარიანი ვაუჩერიდან დარჩენილი 40 ლარი დედაქალაქში რეგისტრირებულ აბონენტებს ნოემბერსა და დეკემბერში დაერიცხებათ.

— ვაუჩერის მოქმედება არ შეწყვეტილა, უბრალოდ 100-ლარიანი ვაუჩერი შემდეგ 5 თვეზე — იანვარზე, თებერვალზე, მარტზე, ნოემბერსა და დეკემბერზეა გაწერილი, რადგან აღნიშნულ თვეებში კომუნალური დანახარჯები უფრო მაღალია. ვინაიდან პირველ სამ თვეში აბონენტებს ყოველთვიურად 20-20 ლარი უკვე დაერიცხათ, დარჩენილი 40 ლარის დარიცხვა ნოემბერსა და დეკემბერში მოხდება, — განაცხადა მამუკა ქაცარავამ.

მისივე განმარტებით, ეს გათვლა თბილისის მთავრობას თავიდანვე ჰქონდა და ამის შესახებ შესაბამის სოციალურ რეკლამაშიც იყო მითითებული.

### სოციალურად დაუცველ თითოეულ ოჯახს თბილისის მერია 150 ლარით დაეხმარება

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განუცხადა.

მისივე განმარტებით, თანხას სოციალურად დაუცველები სამ ეტაპად — მაისში, აგვისტოსა და ოქტომბერში, 50-50 ლარის სახით მიიღებენ. ქაცარავას თქმით, თანხა აღნიშნული კატეგორიის ოჯახებს პირად ანგარიშზე დაერიცხებათ.

— სოციალურად დაუცველები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 ათასზე დაბალია და ასეთი სულ 40 ათასი ოჯახია, 100-ლარიან კომუნალურ ვაუჩერთან ერთად დამატებით 150 ლარს მიიღებენ. მათ თანხა ანგარიშზე ჩაერიცხებათ 3-ჯერადად — მაისში — 50 ლარი, აგვისტოსა და ოქტომბერში ასევე 50-50 ლარი, — აღნიშნა ქაცარავამ.



# მე ვიტყვი სიმართლეს!

# „საკუთარი სისხლი დამალევინეს“

**2005 წლის 20 სექტემბერს, დილომში, მეგობრის საცხოვრებელ სახლში, ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით, შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა რუდიკ ოვაკინიანი დააკავეს. სასამართლომ, მტკიცებულებათა გარეშე, მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ოვაკინიანმა საპატიმროში 8 წელი გაატარა, ის 23 იანვარს ამნისტიით გათავისუფლდა. ყოფილმა პატიმარმა მთავარ პროკურატურას უკვე მისცა ჩვენება ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმ თანამშრომლების წინააღმდეგ, რომლებიც მას აწამებდნენ.**

**რა კავშირი აქვს მის დაკავებასთან „სოდ“-ის ყოფილ უფროსს ირაკლი კოდუას და რას სთავაზობდა დუმილის სანაცვლოდ ბაჩო ახალაია? – ამ ყველაფერზე, ყოფილი პატიმარი რუდიკ ოვაკინიანი for.ge-სთან ინტერვიუში საუბრობს.**

**– რა გახდა თქვენი დაკავების მიზეზი?**

– მეგობრის სახლში დამაკავეს. შემოვიდა პოლიცია და შემოსასვლელში, ქალბატონის ფეხსაცმლიდან ამოიღო წამალი, რომელიც, მათი მტკიცებით, ჩემი იყო. მითხრეს, ეს შენიაო, დამადეს ხელბორკილები და წამიყვანეს.

**– ვინ იყო დაინტერესებული თქვენი დაკავებით?**

– ირაკლი კოდუა.

**– რატომ?**

– გერმანიიდან ჩამომყავდა მანქანები. მას აინტერესებდა სად „პრავდებოდა“ მანქანები, უნდოდა, რომ გამეკეთებინა კამერა, წავსულიყავი და დამეჭერინებინა კაცი, რაც არ გავაკეთე. ამის გამო დამაკავეს და გადამიყვანეს დილომში წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც შემოვიდა ირაკლი კოდუა, გიორგი არველაძე და მცემეს.

**– დანაშაული აღიარეთ?**

– არა. დანაშაულს, რომელიც არ ჩამიდენია, როგორ ვაღიარებდი? მერე გადამიყვანეს ორთაჭალის მე-5 დაწესებულებაში. 28-კაციან საკანში 120 კაცი ვიყავით. 2 დღეში ერთხელ, 3 საათი გვეძინა. უჰაერობის გამო იხოცებოდნენ ადამიანები. ჩემი იქ ყოფნის დროს მოხდა ციხის ბუნტი.

**– თქვენზე რა სახის ზეწოლა მოხდა და ვისი მხრიდან?**

– სასტიკად მცემა ციხის დირექტორმა თამაზ მელაძემ. მიზეზი იყო ტელეფონი. ტელეფონებს თვითონვე გვაძლევდნენ და მერე ამ ტელეფონებში ფულს ვიხდიდით.

**– ვის აძლევდით ამ ფულს?**

– ზედამხედველს. ნათურასაც კი ჩვენ ვყიდულობდით. შემოდიოდნენ და ტელეფონს გვართმევდნენ, შემდეგ იმავე ჩვენს ტელეფონში ფულს გვახდევინებდნენ. ერთხელ რომ შემოვიდნენ, ვუთხარი, ტელეფონი არ გვაქვს-მეთქი. ამის გამო გამიყვანეს საკნიდან და თამაზ მელაძემ სასტიკად მცემა, რატომ დამალე ტელეფონიო. ბოლოს მითხრა, არ მაინტერესებს, ფულს მაინც მოიტან, მნიშვნელობა არ აქვს ტელეფონი გექნება თუ არაო. ამის მერე გადამიყვანეს რუსთავის მე-6 დაწესებულებაში. ეტაპირების დროს კი სპეცდანიშნულების რაზმმა გვცემა.

**– რატომ გცემეს?**

– გვითხრეს, მუხლებზე დადექით და ქურდებს შეაგინეთო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომ არ შეგვეგინებინა, მაინც გცემდნენ. ისე მცემეს, რომ ნეკნები ჩამიმტვრიეს, მხედველობა დავკარგე ცემისგან. თავი 2 ადგილას მაქვს გატეხილი და ხერხემალი მაქვს დაზიანებული. ისე ვიყავი ნაცემი, რომ ჩემით საპირფარეშოში ვერ შევდიოდი. ნაცემი სისხლისგან ვიცლებოდი და ციხის უფროსმა ხულორდავამ მითხრა, რომ ამერიკულ ალკატრასზე უარესი ადგილიაო. ერთი კვირის მერე, ლაპარაკის გამო კარცერში ამიყვანეს.

9 საათის მერე არ უნდა გელაპარაკა, ხმა არ უნდა ამოგეღო. ლაპარაკის გამო ზედამხედველმა ზვიად ზვიადაურმა ჯერ პირველ სართულზე მისაღებში მცემა და მერე კარცერში გადამიყვანა. 5 კაცი საცვლებით ვიჯექით კარცერში. 20 დღის განმავლობაში ვიყავი იქ და დღეში 2-ჯერ გამოწერილი მქონდა ცემა. გვირტყამდნენ მანამ, სანამ არ გავითიშებოდით. ერთი ჭიათურელი სპეცრაზმელი იყო და ის რომ გვცემდა, გვიხაროდა, რადგან, როგორც კი დაგარტყამდა მაშინვე გაგთიშავდა.

**– საცვლებით რატომ გსვამდნენ კარცერში, ეს დასჯის რამე ფორმა იყო?**

– სიცივე იყო და გვყინავდნენ. ბევრი საცვლების გარეშეც იჯდა. ეს იყო დაცინვის ფორმა.

**– რატომ არ გაასაჩივრეთ მაშინვე ასეთი მოპყრობის ფაქტი?**

– მაშინ არავინ იცოდა, რა უნდა ექნა. ადვოკატი რომ მოდიოდა, ციხის თანამშრომელი იდგა წინ. ადვოკატსაც ეშინოდა ხოლმე. რაღაცას რომ ეტყოდი, თვითონ ადვოკატი გაჩერებდა. 2006 წლის სექტემბერში ბევრი ვიყავით კარცერში. ერთხელ, ყველა კარი გაიღო, პატიმრები გაყავდათ. 13 კაცი დავრჩით კარცერში, მეგონა საცემრად გავყავდით, დავიმალე.



დაახლოებით 10 წუთში იღება კამერა, შემოვიდა სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, სურათები გადაგვიღეს და მეკითხებოდნენ, ნაცემი ხართ თუ არაო. სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, რომ ეს კაცი იყო სახალხო დამცველი. მეგონა, დეპარტამენტის თანამშრომელი იყო და, რომ მეთქვა არ გვცემენ-თქო, იტყუებითო და უარესად გვცემდნენ. ამიტომ, რეალურად რაც იყო, ის ვუთხარი.

**– თვითონ არ გითხრათ, რომ ის იყო სახალხო დამცველი?**

– კი გვითხრეს, მაგრამ არ დავიჯერეთ. ესენი რომ წავიდნენ, მაშინვე გაგვიყვანეს იქიდან, 13 კაცი ვიყავით, ვინც ეს ჩვენება მივეცით. შემოვიდა ციხის უფროსი ლაშა ბრეგვაძე და მითხრა, რა იყო, მიჩივიო?! მთხოვდა საჩივრის გამოტანას, რაზეც უარი ვუთხარი. მერე, როგორც გავარკვიე, 10 კაცს გამოატანინეს საჩივარი. დავრჩით მე, იმედა ბუთხუზი და ვაჟა გეგენავა. 3 დღის მერე, ღამის 3 საათზე კამერა თვითონ ბაჩო ახალაიამ გააღო და აგვიყვანა ზემოთ, სადაც დაგვხვდნენ რომა ჯანიაშვილი, გიორგი ხუხია, ლაშა ბრეგვაძე, ახალაიას დაცვის უფროსი და ასევე პრესსამსახური კამერით. მე და ვაჟა გეგენავა ვიყავით. იქ დაიწყეს ნორმალური ლაპარაკი, ჩვენ გვიჩივითო და რა გინდათო, მოდით, ჩვენთან იყავითო. სუბარმა რაც დაწერა, იმას ახლა საწინააღმდეგო დაუწეროთო. როცა უარი ვუთხარით, მუქარაზე გადავიდა.

ბაჩო ახალაიამ მითხრა, ჩათვალე, რომ მკვდარი ხარ, ახლავე ჩაგიყვან, ჩამოგახრჩობ და დავწერ, რომ თავი მოიკალიო. მოვითხოვეთ, დრო მოეცათ მოფიქრებისთვის. 2 დღე მოგვცა მოფიქრებისთვის. ვიცოდით, რომ ორ დღეში სახალხო დამცველის წარმომადგენელი უნდა შემოსულიყო ჩვენთან. მათ ყველაფერი დავუწერეთ, რაც ბაჩო ახალაიამ გვითხრა. მათი წასვლის მერე, ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა შემოვიდნენ, მთვრალები იყვნენ. ქარდავამ ამოიღო იარაღი და თქვა მოვკლათო.

წინ დამიდგა ახალაია, მე ხელები უკან მქონდა. ახალაია ყვიროდა, ბიჭო, შენ მე მიჩივიო და დამარტყა. ძირს დამაგდო და წიხლებით დამიწყო ცემა, სკამები დამალეწა. ვაჟა გეგენავას კი გვერდზე ოთახში მეგის ქარდავა სცემდა. მერე შემოვიდა ქარდავა, იარაღი გადაწია და მოვკლათ ამის დედაც.....ო და დამადო იარაღი. ახალაიამ უთხრა, ბიჭო, არ მოკლა, დაიცა, ერთი ამის დედა ......ო.

შემიყვანეს დირექტორის კაბინეტში. ახალაიამ მითხრა, ვიცი, რომ გერმანიაში ცხოვრობდი, ყველაფერი ვიცი შენს შესახებო, მეც ცოლი გერმანელი მყავს და მოდი ვიძმაკაცოთო, რად გინდა, თავს რატომ მაკვლევინებო. პირდაპირ ვერ გაგიშვებ, მაგრამ რეზბალნიცაზე მეყოლებიო, თუკი რამე არსებობს, ყველაფერი გექნებაო. დაბადების დღეზეც მე გაგიყვან გარეთო. რასაც გეუბნები, ყველაფერს ჩავწერ, ხელს მოვაწერ და თუ დანაპირები არ შევასრულე, მერე გამოაქვეყნეთო. ერთ წელში გაგიშვებ გარეთო.

**– რა უთხარით ამ შემოთავაზებაზე?**

– არ დავთანხმდი. ამაზე გაგიჟდა და ისევ ცემა დამიწყო. როცა დაიღალა, ლაშა ბრეგვაძემ გააგრძელა ჩემი ცემა. ისე ვიყავი ნაცემი, რომ ბოდიშით და შარდზე სისხლს გავდიოდი. რეჟიმის უფროსმა რომა ჯანიაშვილმა 5 დღე ჩამკეტა ნაცემი კარცერში. უმძიმეს დღეში ვიყავი. მცემდნენ, რადგან უარი ვთქვი თანამშრომლობაზე. ჩემზე არ ვრცელდებოდა ის, რაც კანონით პატიმარს ეკუთვნოდა. ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც გადავყავდით, ყველა ისე მიცნობდა, რომ ეს ის არის, ჩვენს უფროსს რომ უჩივისო და ამის გამო მცემდნენ. დამიჯერეთ, ცემისგან, ბევრჯერ ჩემი საკუთარი სისხლი მაქვს დალეული.

**– როგორც ვხედავ, სახისა და შუბლის არეში საკმაოდ ბევრი ნაიარები გაქვთ. ეს იმ სისასტიკის კვალია?**

– დიახ. შეგნებულად ამკიდეს ტუბერკულოზი. ჯანმრთელი მიმიყვანეს და დაავადებული გამომიშვეს იქიდან. გიორგი ავსაჯანიშვილმა ისე მცემა, რომ გამოკვლევებზე წამიყვანეს. იქიდან ტუბზონაში გადამიყვანეს, სადაც ტუბერკულოზი ამკიდეს. ჩემი ადვოკატი ნინო ანდრიაშვილი რომ არ ყოფილიყო, შესაძლებელია დღეს ცოცხალი არ ვყოფილვიყავი.

**– ახლა რას აპირებთ?**

– ვაპირებ ბოლომდე ბრძოლას და სიმართლის დამტკიცებას. ჩემი უკანონო დაკავების და ცემის საქმე გაგზავნილია სტრასბურგის სასამართლოში. ვითხოვ ბაჩო ახალაის და ყველა იმ თანამშრომლების დასჯას, ვინც მცემდა და მაწამებდა. ბევრჯერ ნაცემი ვარ სხვა პატიმრების გამო. ყურადღებას რომ არ აქცევდნენ ავადმყოფ პატიმრებს, ან არაფრის გამო რომ ცემდნენ და გამოვესარჩლებოდი, ამის გამო უფრო მეტად მცემდნენ.

**– ის, რომ ახალაია ნასვამი შედიოდა ციხეში და სცემდა პატიმრებს, ამაზე მუდმივად საუბრობდნენ უფლებადამცველები. თუმცა, ბაჩო ახალაია ამას კატეგორიულად უარყოფდა. თქვენ, მზად ხართ პირისპირ უთხრათ ეს ყველაფერი ახალაიას?**

– რა თქმა უნდა, – ვეტყვი. გამოძიებას მივეცი უკვე ჩვენება. თუთბერიძე ახლა რომ გამოდის და ყვირის, ის იყო ზუსტად ჩვენთან შემოსული და გვეკითხებოდა – „მართლა იჯექით ტიტვლებიო? როგორ იჯექითო“? გვითხრა, მე თქვენსკენ ვარო. მე ვუთხარი, – თუ არ გაწყობს სიმართლის გაგება, მაშინ დაწერე, რომ დუბლიონკით ვიჯექი და თავი დაგვანებე-მეთქი.

მთხოვდნენ სტრასბურგიდან სარჩელის გამოტანას. ციხის საავადმყოფოში ცხვედიანმა წინ დამიდო დაბეჭდილი ფურცელი 3 ექიმის ხელმოწერით, ხელს აწერდა ციხის მთავარი ექიმი და ასევე სამი მოწმე პატიმარი.

**– რა ეწერა იმ დასკვნაში?**

– ეწერა, თითქოსდა კავერნის გახსნის გამო, პირში სისხლი ჩამეგუბა, ზარი ვერ მივეცი და გარდავიცვალე. მითხრა, შენივე ზემლიაკი არის ქვემოთ, ჩაგიყვან იქ და ის მოგხედავსო. ის იყო სომეხი და მას „სომეხას“ ეძახდნენ, ეს იყო ის პიროვნება, რომელიც გარდაცვლილ პატიმრებს შიგნავდა.

**თამთა ქარჩავა**

---

◎ დროის პრობლემა

# კომპიუტერის თაობა უწიგნური გახდა!

## ქართველ ბავშვებს წიგნიერების თვალსაზრისით საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ

**საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების შედეგებით, წიგნიერების თვალსაზრისით, ქართველ ბავშვებს საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ. განათლების ეროვნულმა ცენტრმა 2011 წელს „საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის“ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები წარადგინა.**

პირველი ანალოგიური კვლევა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში 2006 წელს განხორციელდა. საქართველოში კვლევები რამდენიმე მიმართულებით ჩატარდა. კერძოდ, 9-10 წლის ასაკის მე-4 კლასელების კითხვის უნარები და ის ფაქტორები შეფასდა, რომლებიც მოსწავლის წიგნიერებაზე ახდენს გავლენას. ამ მიზნით საქართველოში 174 სკოლის დაახლოებით 4800-მდე მოსწავლე შეფასდა, ასევე, შეფასდა მშობელი და მასწავლებელი.

აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის, ქართველი ბავშვების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი – 488 მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებლებს. წიგნიერებაში მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით, პირველ ადგილზე ჰონკონგია 571 ქულით, შემდეგ რუსეთი – 568, იგივე მაჩვენებელი აქვს ფინეთსაც. კვლევამ აჩვენა, რომ 2006 წელთან შედარებით, წიგნიერებაში ქართველი მოსწავლეების მიღწევები უმნიშვნელოდ, მხოლოდ 17 ქულით გაუმჯობესდა. ამასთან, მოსწავლეთა 14% მიღწევის საერთაშორისო შკალის დაბალი საფეხურის ქვემოთ აღმოჩნდა. უმაღლეს საფეხურზე (625 ქულა) კი შეფასებული ბავშვების მხოლოდ 2% იმყოფება.

ქართველ მოსწავლეთა წიგნიერების შესახებ For.ge ექსპერტებს ესაუბრა.

„განათლების ლიგის“ პრეზიდენტი **მანანა ნიკოლაიშვილი** აცხადებს, რომ ეს სავალალო მაჩვენებელი სააკაშვილის რეფორმის „დამსახურებაა“. ფინეთსა და რუსეთს კი იმიტომ აქვს ერთნაირი მაღალი შედეგები, რომ ფინეთმა საკუთარი რეფორმა გადაიღო იმ მოდელიდან, რაც ჩვენთან იყო, საქართველოში და ეს გახლდათ ძველი გერმანული მოდელი. ამდენად, დღეს მთელ მსოფლიოში ყველაზე პროგრესული რეფორმა გატარდა ფინეთში.

იხ. 4 გვ.

## რეცენზია

*ჩვენ ვცხოვრობთ მაღალი პოტენციალების, ზემაღალი ტემპერატურების, წნევების, სიჩქარეების ეპოქაში. საოცარი სისწრაფით ვითარდება სრულიად ახალი დარგები: ნახევარგამტარების და ზეგამტარების ფიზიკა, რადიოელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ატომგულური ენერგეტიკა, კოსმოსური ტექნიკა და სხვა. თანამედროვე მანქანა-დანადგარებსა და აპარატებში სამუშაო ტემპერატურის ქვედა ზღვარი აბსოლუტურ ნულს უახლოვდება, ზედა ზღვარი კი მუდმივად ზემოთ მიცოცავს. დღევანდელი ტექნიკური პროგრესი მოითხოვს სრულიად ახალი, სპეციალური ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებების მქონე მასალების მიღებას და ამ მიმართულებით სათანადო კვლევების ჩატარებას.*

# „თორი“, რომელიც ხშირად აღემატება კიდეც საზღვარგარეთულ ანალოგებს

### მნიშვნელოვანი სიახლეები თანამედროვე მასალათმცოდნეობაში

ასე იწყება წიგნი, რომლის შესახებაც გვინდა მოგითხროთ.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ საუბარია მასალათმცოდნეობაზე, ანუ მეცნიერებაზე მასალების შესახებ, რომელიც ყველა ცივილიზებული ქვეყნის პრიორიტეტულ მეცნიერულ მიმართულებათა ჩამონათვალის სათავეში მოიხსენიება. მასალათმცოდნეობა ეკოლოგიურ და ბიო-სამედიცინო პრობლემებთან ერთად განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარების კურსს XXI საუკუნეში.

მასალათმცოდნეობის პრობლემა კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი პრობლემაა. ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ადამიანი მიხვდა, რომ ნებისმიერი საბრძოლო თუ შრომის იარაღი უნდა იყოს სალი, მტკიცე და პლასტიური. მაგალითად, თოხი არ უნდა ილუნებოდეს დატვირთვისას (სიმტკიცე), არ უნდა ტყდებოდეს დარტყმის შედეგად (სიბლანტე) და არ უნდა ცვდებოდეს მუშაობის პროცესში (სისალე). ძველთაგანვე ცნობილ ამ ემპირიულ ფორმულას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. პირიქით, დღევანდელი, ბევრად უფრო მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად საჭიროა ზესალი, მხურვალგამძლე, კოროზიამედეგი, ცეცხლმედეგი და სხვა სპეციალური თვისებების მქონე მასალების მიღება და მათგან ნაკეთობების დამზადება. სწორედ ამ საკითხების გადაწყვეტას ისახავს მიზნად მსოფლიოში ცნობილი გამომცემლობის „Springer“-ის მიერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლახან დასტამბული **გიორგი თავაძის და ალექსანდრე შტეინბერგის** მონოგრაფია: „Production of Advanced Materials by Methods of Self-Propagating High - Temperature Synthesis“, რაც ქართულად ასე იკითხება: **„ახალი მასალების მიღება თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით“.**

წიგნის ავტორები არიან ამ დარგის ცნობილი სპეციალისტები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოში თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ერთ-ერთი დამფუძნებელი გიორგი თავაძე და აშშ-ის ბერკლის ქიმიური ინჟინერიისა და მასალათმცოდნეობის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე შტეინბერგი.




თვითონ ის ფაქტი, რომ Springer-მა ითავა წიგნის ინგლისურ ენაზე გამოცემა, ადასტურებს ჩვენი თანამემამულის, გიორგი თავაძის მეცნიერული იდეების მნიშვნელობას თანამედროვე არაორგანული მასალათმცოდნეობის სფეროში, ხოლო ორი ცნობილი სპეციალისტის ხანგრძლივი ვირტუალური თანამშრომლობის შედეგად წიგნში ჩამოყალიბებული მეცნიერული კონცეპციები საერთაშორისო თანამშრომლობის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება.

ახლა ორიოდ სიტყვას თმს-ის შესახებ მოგახსენებთ. თმს ერთი შეხედვით ლითონთერმიული აღდგენის რეაქციას მოგვაგონებს. ორივე შემთხვევაში პროცესი ეგზოთერმულია, ანუ რეაქცია მიმდინარეობს სითბოს გამოყოფით. ლითონთერმია გულისხმობს ლითონის აღდგენას მათი ნაერთებიდან (ჟანგეულები, ჰალოგენიდები, სულფიდები) უფრო მაღალი აქტივობის მქონე ლითონით (ალუმინი, მაგნიუმი). ჟანგეულებიდან ალუმინით ლითონის აღდგენის რეაქცია ჯერ კიდევ ნ.ნ.ბეკეტოვმა შეისწავლა XIX საუკუნეში. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ გავრცელდა ალუმინთერმიული, მაგნიუმთერმიული და, ზოგადად, ლითონთერმიული პროცესების სახელით ცნობილი მეტალურგიული ტექნოლოგიები სუფთა, უნახშირბადო ლითონების — ტიტანის, ნიობიუმის, ცირკონიუმის, ქრომის და სხვათა მისაღებად. ეს ტექნოლოგიები ითვალისწინებენ საწყისი კაზმის გახურებას, უპირატესად ელექტრორკალური წესით, მოითხოვენ დიდ ენერგოდანახარჯებს და ძვირადღირებული აპარატურის გამოყენებას. თვითონ რეაქცია მიდინარეობს მოცულობითი წვის რეჟიმში.

თმს პრინციპულად განსხვავდება აღწერილი ტექნოლოგიებისგან იმით, რომ მის განსახორციელებლად არ არის საჭირო მორეაგირე კომპონენტების წინასწარი გახურება. პროცესი მიმდინარეობს წვის რეჟიმში, გარედან დამატებითი ენერგიის მიუწოდებლად. წვის პროცესი ალთან ასოცირდება და „მყარი ალის“ სახელითაა ცნობილი. სინთეზი იწყება გარედან მიწოდებული მცირე თბური იმპულსით, მაგალითად, ვოლფრამის ძაფში ელექტროდენის გატარებით. რეაქცია ინიცირდება მორეაგირე ელემენტების ფხვნილების დაწნეხილი ბრიკეტის თხელ ფენაში. ეს ფენა წვის ტალღის სახით გადაადგილდება მთელ ბრიკეტში. მისი გავრცელების სიჩქარე წამში ათი სანტიმეტრის რიგისაა, ხოლო ტემპერატურა 4000 გრადუს ცელსიუსს აღწევს. სწორედ ეს არის თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის უპირატესობა: ამ მეთოდით შესაძლებელია ძნელდნობადი ნაერთების სინთეზირება. ტრადიციული მეთოდებით მათი მიღება დაკავშირებულია დიდ ენერგოდანახარჯებთან და საჭიროებს რთული სახურებელი ტექნიკის გამოყენებას, ხოლო ბევრ შემთხვევაში პრინციპულად შეუძლებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის პროცესით მიღებული პროდუქტი საწყის კომპონენტებთან შედარებით უფრო სუფთაა, ვინაიდან პროცესის მსვლელობის დროს ადვილად აქროლადი მინარევების აორთქლების ხარჯზე ხდება თვითგაწმენდა.

თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის სიჩქარე და ტემპერატურა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათგან უმთავრესია მორეაგირე კომპონენტების თერმოდინამიკური პარამეტრები, მისალები ნაერთის წარმოქმნის სითბო, რეაქციაში მონაწილე ელემენტების სითბოტევადობა, ფხვნილის დისპერსულობა, ნარევის სითბოგამტარობა, ბრიკეტის სიმკვრივე და სხვა.

თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის წარმატებულად ჩატარება მოითხოვს სავარაუდო რეაქციის ქიმიური ენერგიის მარაგის შეფასებას და ზემოაღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებას ყველა ახალი მასალის სინთეზის პროცესში.

გ. თავაძის ხელმძღვანელობით ფართო ფრონტით დაიწყო გამოკვლევები თმს სფეროში. სინთეზირებულია სრულიად ახალი შენადნობები, ლითონური და კერამიკული ზეგამტარი მასალები, ბორის კარბიდი, ბორის ნიტრიდი, სილიციუმის კარბიდი, სალი შენადნობები ტიტანის კარბიდების, ტიტანის ბორიდებისა და ქრომის კარბიდების ფუძეზე და სხვა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გ. თავაძის მიერ მიღებული ახალი თაობის საჯავშნე კომპოზიციური მასალა კოდური სახელწოდებით „თორი“. მასში რეალიზებულია კინეტიკური დამრტყმელის დამუხრუჭების პრინციპულად ახალი მიდგომა — ტყვიის კინეტიკური ენერგიის მაქსიმალური დისიპაცია კომპოზიციური მასალის ულტრადისპერსულ სტრუქტურაში. თავისი ფუნქციური მახასიათებლებით „თორი“ უტოლდება და ხშირად აღემატება საზღვარგარეთულ ანალოგებს. კომპოზიციური კერამიკული ელემენტებისგან დამზადებულმა ჯავშანბლოკებმა წამატებით გაიარა ტესტირება გერმანიაში, საფრანგეთში, ისრაელსა და აშშ-ში. 1998 წელს საჯავშნე კომპოზიციის დამუშავებისთვის და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გ. თავაძეს თანაავტორებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

**და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი წიგნის ბაზარზე წარმოდგენილი საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული მრავალფეროვანი ლიტერატურის მიუხედავად, ჩვენი მეცნიერული საზოგადოება ტექნიკური წიგნით განებივრებული არ არის. ამდენად, ასეთი მაღალი დონის სიახლე, ან როგორც ახლა ამბობენ, ნოვაცია, რასაც ეს წიგნი შეიცავს, უდავოდ კარგი საჩუქარია ჩვენი მკითხველისათვის.**

**ირაკლი ჟორდანია,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

**ჯუმბერ ხანთაძე,**
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

## დანაწილებული თბილისი

# უგულავამ და ახვლედიანმა იპოვეს ის ფირმა, რომელიც აწყობდათ და ტენდერშიც გაამარჯვებინეს

2007 წლის 9 ნოემბერს თბილისის მერიაში პარკირების უფლებების გადაცემისთვის გამართულ ვითომდა „აუქციონზე“ გაიმარჯვა შპს „ამაგონი და შოპან პარკინგ სერვისმა“, რომელმაც კომპანია „სითი პარკი“ დააარსა. მას პარკირების მართვის უფლება 15 წლით გადაეცა.

„ტენდერში“ გამარჯვებულის „მოსაძებნად“ დიდი სამუშაო გასწიეს დედაქალაქის მერმა და მისმა მოადგილემ მამუკა ახვლედიანმა. ისინი განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებული, რომ მართვის უფლება სწორედ ამ კომპანიას აელო ხელში.

როგორც საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი ზაზა გაბუნია აცხადებს, ამის გამო არაერთი შეხვედრა გაიმართა ებრაული ფირმის წარმომადგენლებთან. ქართული დუეტი მათ ისრაელშიც ესტუმრნენ. გაბუნია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მსჯელობს და ამბობს, რომ როდესაც უცხოური ფირმა რომელიმე ქვეყნის ბაზარზე შესვლითაა დაინტერესებული, თვითონ აგზავნის იმ სახელმწიფოში (ამ შემთხვევაში საქართველოში) თავის წარმომადგენლებს მოლაპარაკებაზე და არა პირიქით. ეს ბუნებრივია აჩენს ეჭვს, ამბობს საკრებულოს დეპუტატი, რომ მერიის იმჟამინდელმა ადმინისტრაციამ, უგულავას ხელმძღვანელობით, მოძებნა ის ფირმა, რომელიც აწყობდა და ტენდერში გაამარჯვებინა, რაც სხვადასხვა მოსაზრებებითაც მყარდება — აცხადებს გაბუნია.

„სითი პარკმა“ თბილისში პარკირების სისტემის ოპერირება 2009 წლის 1 მარტიდან დაიწყო. თავდაპირველად მოსახლეობა მისი მუშაობითა და დედაქალაქში პარკირების ევროპული სისტემის დანერგვით კმაყოფილი იყო. მაგრამ გავიდა დრო და კომპანიამ ბრჭყალების გამოჩენა იწყო. მან პარკირებისათვის უპრეცედენტოდ მაღალი გადასახადები დააწესა 20 თეთრიანი, 50-იანი და ერთლარიანი ტარიფების სახით, რამაც უმალ გამოიწვია ავტომფლობელების უკმაყოფილება. ისინი ამბობდნენ რომ ავტოსადგომზე მანქანის გაჩერება თვეში 100 ლარი უჯდებოდათ. ავტოპარკირების საფასურის გადაუხდელობისთვისაც უცხოურმა კომპანიამ ჯარიმის სახითაც საკმაოდ მაღალი ფასი დააწესა — 40 ლარი, „სითი პარკის“ საათობრივმა სატარიფო სისტემამ თვენახევარი იმუშავა და მზარდი უკმაყოფილების გამო, საჭირო გახდა კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების გადახედვა. აქ მერიამ თავისი ხელდასმული კომპანიის დაუკითხავად ახალი ტარიფები შემოიღო. ავტოსადგომებზე მანქანების პარკირების გადასახადი წელიწადში 25 ლარით განისაზღვრა. პირველად აქ გაჩნდა ეჭვები, რომ ებრაული კომპანია საქართველოს დატოვებდა. მაგრამ საქმეში ჩაერივენ უგულავა, ახვლედიანი და ძმანი მათნი. კომპანია ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დაიყოლიეს წლიურ 25 ლარზე, საქართველოში დარჩენაზე პირობა დაადებინეს, რომ მერიის დაწესებული ტარიფის კორექტირება „სითი პარკის“ მიერ აღარ მოხდებოდა.

მაგრამ კომპანიის მიცემულმა დაპირებამ მხოლოდ ერთ წელს გაუძლო. ამის შემდეგ ებრაულმა კომპანიამ ხელშეკრულების გადახედვა და 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან პარკირებისათვის ყოველწლიური გადასახადის გაორმაგება — 50 ლარის დაწესება მოითხოვა.

ყველას ეგონა, რომ დედაქალაქის „მამები“ ამჟამად მაინც გამოიჩენდნენ პრინციპულობას და კომპანიას წასვლა მოუწევდა. მაგრამ უგულავა და მისი კამპანია არ აპირებდა იმ ტოტის მოჭრას, რომელზეც ისხდნენ. ვერ „გაუძლეს“ ზეწოლას და ებრაელთა მოთხოვნას დაყაბულდნენ. თბილისელთათვის ავტოპარკირება წელიწადში 50 ლარი გახდა.

ამჟამად „სითი პარკის“ ირგვლივ ისევ ვრცელდება ხმები კომპანიის მიერ საქართველოს დატოვების შესახებ. მოარული ხმები საკრებულოს წევრ ზაზა გაბუნიასთვისაცაა ცნობილი, თუმცა, ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებს.

გავრცელებულ ინფორმაციას კომპანიის საქართველოდან წასვლის შესახებ კატეგორიულად უარყოფენ „სითი პარკში“. მის პრესცენტრში აცხადებენ, რომ ჩვეულ რიტმში განაგრძობენ მუშაობას და ბაზრიდან წასვლა არ იგეგმება. ასეთი კატეგორიული და თვითდაჯერებული განცხადების ტონი, სრულებითაც არ უკვირთ ექსპერტებსა და სპეციალისტებს, რადგან ებრაულ კომპანიას სერიოზული მფარველი ჰყავს უგულავასა და მისი გუნდის სახით. მაგრამ ისმება კითხვა — როდემდე!!!

**ზაზა ბილიხოძე**

№75. სამშაბათი, 23 აპრილი, 2013 წელი.

დროის პრობლემა



# კომპიუტერის თაობა უწიგნური გახდა!

(მეხუთე გვერდიდან)

მანანა ნიკოლაიშვილის თქმით, კარგია გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილება, რომ სახელმძღვანელოებს სახელმწიფო შეიძენს, მაგრამ ეს უხარისხო სახელმძღვანელოები, დანაშაულებრივი მეცნიერული შეცდომებითა და არასწორი მეთოდიკით დაწერილი სახელმძღვანელოები ვნებს როგორც ბავშვის გონებას, ასევე, მის ჯანმრთელობას, რადგან ძალიან სქელტანიანია. ამდენად, ეს სახელმძღვანელოები მთლიანად გადასაყრელია და მარგველაშვილი კიდევ ლოიალურად ექცევა ამ გამომცემლობებს.

**„უნდა გაიტანო და დაწვა ეს წიგნები, არაფრად ვარგა, არც შინაარსობრივად და, ამასთან, ბავშვებს ხერხემლის გამრუდება ემართებათ. ჩვენ დავანგრიეთ მეცნიერულად ყველაზე გამართული განათლების სისტემა. რაც შეეხება ჰონკონგს, ამ ქვეყნის წიგნიერების დონე არ მიკვირს, რადგან ამ ქვეყანაში ბოლო წლებში კარგ რეფორმას ატარებენ და განათლებისთვის დიდ ფულს ხარჯავენ. ის, რაც საბჭოთა კავშირის ქვეყნებში იყო, ეს არ ყოფილა კომუნისტების მოგონილი, ეს ძველი გერმანული მოდელია, რაც უნდა აღდგეს და ის შინაარსი უნდა ჩაიდოს, რაც იყო“,** — მიიჩნევს მანანა ნიკოლაიშვილი.

მისი თქმით, ამ მოდელს მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგია უნდა ჩამოვაშოროთ. უფრო მეტიც, დიდი ნგრევა ჩვენს განათლების სისტემას არ სჭირდებოდა, ვინაიდან მსოფლიო დონეზე, კონკურენტუნარიან განათლებას აძლევდა მოსწავლეს.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი **მერაბ თოფურია** აცხადებს, რომ ქართველი ბავშვების წიგნიერების დაბალი მაჩვენებელი უამრავი კომპლექსური მიზეზით აიხსნება — დაწყებული ეკონომიკური პირობებით, დამთავრებული ქვეყნის პოლიტიკით თუ საგამოცდო პოლიტიკით. თუმცა, კერძო სკოლების შედეგები საშუალოზე უფრო მაღალია საქართველოში და შვედეთის მაჩვენებელს უტოლდება.

**„სახელმწიფო სკოლები ცოტა მოიკოჭლებს და პრობლემაც ეს არის. კერძო სკოლებში კი, სადაც არის დაფინანსება, მაღალი ანაზღაურება, პედაგოგებიც შესაბამისი ანტურაჟით არიან და სწავლის დონე უფრო მაღალია. ფაქტობრივად, კერძო სკოლებში სწავლება ევროპულ დონეზეა, ხოლო იქ, სადაც ამის საშუალება არ არის და უსახსრობაა, დაბალი დონის კვალიფიკაციაა პედაგოგებში. შესაბამისად, შედეგებიც დაბალია. თუ კვალიფიციურ პედაგოგებს კარგი ხელფასი არ მივეცით, ისინი კარგად არ იმუშავებენ“,** — აცხადებს მერაბ თოფურია და მიიჩნევს, რომ, როცა სახელმწიფო ეკონომიკურად ძლიერია, მაშინ ყველაფერი რიგზეა.

ამდენად, იგი არ ეთანხმება მოსაზრებას, თითქოს, განათლების მხრივ, საბჭოთა სისტემა კარგი იყო და ის ძველი გერმანული მოდელიდან იღებდა სათავეს. სინამდვილეში, გერმანული სკოლის მოდელი მეფის რუსეთის დროს არსებობდა და მას შემდეგ საბჭოური სისტემა იყო დანერგილი ჩვენს სკოლებში, რაც მთლად გერმანული მოდელი სულაც არ ყოფილა.

უფრო ზუსტად, ეს იყო ინფორმატიულობაზე, ინფორმაციის მიღების მასაზე დამყარებული განათლება და ამის შემდეგ ტალანტის მქონე ადამიანები არღვევდნენ ამ გზას და მიდიოდნენ ნორმალური განვითარების მისაღებად. ვისაც ტალანტი არ ჰქონდა, ისინი რჩებოდნენ განათლებულ, მაგრამ რეალურად არაფრისმცოდნე ადამიანებად, ისევე, როგორც დღეს უამრავი ექიმი თუ სხვა დარგის სპეციალისტი გვყავს, რომელთა პროფესიონალიზმიც დაბალია.

**„იდეალური ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ ის სახელმწიფოები, რომლებსაც შესაბამისი სახსრები გააჩნიათ, წარმატებებს აღწევენ. ნებისმიერი ქვეყანა, სადაც განათლების ხანგრძლივვადიანი, 10 და 15-წლიანი გეგმა გაიწელება და ყოველი მინისტრის მოსვლა-წასვლით არ შეიცვლება ეს სისტემა, წარმატებას აღწევს. ამდენად, სადაც სტაბილურია განათლების სისტემა, იქ შედეგიც არ აყოვნებს, არასტაბილურ სისტემაში კი შედეგს ვერ მივიღებთ“,** — აცხადებს მერაბ თოფურია.

51-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მანანა თურქაძის** თქმით, იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა პერიოდში იგი ხუთოსნად ითვლებოდა, საბჭოთა განათლების სისტემა სულაც არ ყოფილა მისაბაძი. დღევანდელ დღეს კი ბავშვებში წიგნიერების ნაკლებობას იგი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების საშინელ გავლენას უკავშირებს. გარდა ამისა, მიიჩნევს, რომ წიგნიერების ნაკლებობის მიზეზი გარკვეული სოციალური ფონიცაა.

**„საბჭოთა პერიოდში ცოტა სხვა ფონი იყო, თორემ არა მგონია, განათლება უფრო კარგი ყოფილიყო. დღეს უფრო ცნობიერების დონემდეა ასული ეს ყველაფერი, უბრალოდ, მოსწავლეები აღარ კითხულობენ წიგნებს ბევრი მიზეზის გამო და წიგნიერება დაბალ დონეზეა. ამავდროულად, მე გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი გახლავართ და ქართულის თემებს როცა ვასწორებ, ვხედავ, როგორი დაბალია წიგნიერება ბავშვებში. თუმცა, არ დავმალავ, იმასაც ვამჩნევ, რომ ბოლო დროს, თემის წერა ისწავლეს მოზარდებმა და გარკვეული პროგრესი იგრძნობა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ გამოცდებისთვის ყველა ემზადება და გარკვეულწილად, თემის წერაც ისწავლება, წიგნიერება კი სულ სხვა რამეა, ალბათ, რეპეტიტორების დამსახურებაა და ეს ინსტიტუტი მაინც მუშაობს საქართველოში“,** — აცხადებს მანანა თურქაძე.

მისივე თქმით, საგამოცდო თემისთვის უმაღლეს შეფასებად ითვლება 25 ქულა. ამ დროს კი საშუალო ქულა 12-13 ქულასაც ვერ აღწევს. ასევე, მისი თქმით, მას მასწავლებლების ნამუშევრებიც შეუსწორებია და ვერც ამ შემთხვევაში დაადასტურებს, რომ ზოგადი ფონი სახარბიელოა. ასე რომ ყოფილიყო, 25 ქულიდან საშუალოდ 15 ქულა მაინც უნდა დაწერილიყო.

რაც შეეხება კერძო სკოლის უკეთეს შედეგებს, ამას მანანა თურქაძე უკეთეს დაფინანსებას კი არა, არამედ მოსწავლეების მცირე რაოდენობას უკავშირებს.

**მანანა იმერლიშვილი**

ეს ყველამ უნდა იცოდეს!

# რით და როგორ ვიკვებებით?

## სწრაფი კვების ბიზნესთან ბრძოლა სულ უფრო მძაფრდება

**სწრაფი კვება — ეს მუდმივად მზარდი და პრობლემებთან ასოცირებული ბიზნესია. მასთან ბრძოლა ყოველწლიურად ძლიერდება. ე.წ. „ფასტ ფუდების“ საწინააღმდეგო მოძრაობა უკვე საქართველოშიც დაწყებულია.**

გერმანელმა ექიმებმა განსაკუთრებით საშიშად სწრაფი კვების ობიექტებში დამზადებული პროდუქტები მიიჩნიეს, სადაც ყველაზე მეტად ხორციანი საკვები შეიცავს საფრთხეს. ისინი მომხმარებელს ხორცის შეძენისას მეტის სიფრთხილისკენ მოუწოდებენ. სწრაფი კვების ობიექტებში პროდუქციის 90% ხორცისგანაა დამზადებული და ამ მხრივ კონტროლია გასაძლიერებელი.

ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მინისტრი იოჰან რემელი ყველა სავაჭრო ობიექტის შემოწმების მოწოდებით გამოვიდა და თანამშრომლებს ყველა სკანდალის გახმაურება და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება დაავალა, ხოლო მომხმარებელს მეტი სიფრთხილე და რაციონში ნაკლები „ფასტფუდის“ შეტანა ურჩია.




ექიმები და დიეტოლოგები უკვე ათწლეულებია, რაც „მაკდონალდს“ და მსგავსი ტიპის დაწესებულებებში შემოთავაზებულ საკვებს, ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტებად მიიჩნევენ. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა არაერთმა გამოკვლევამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ „ფასტ ფუდებში“ არასწორად არის კომბინირებული ის კომპონენტები, რასაც პროდუქტი ჩვეულებრივ შეიცავს. მაგალითად, მაღალია ქოლესტერინის შემცველობა ხორცპროდუქტებში, კარტოფილი „ფრი“ შეიცავს მავნე კონსერვანტებს და ა.შ. მათი ხშირი მიღება კი ადამიანისთვის რისკია.

ანალიტიკოსები „მაკდონალდსის“ კერძებში, შემოთავაზებულ პროდუქტში გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების არსებობაზე ან კიდევ გენმოდიფიცირებული საკვებით გამოყვანილ-გამოზრდილი ნედლეულის (ქათმის ხორცი, საქონლის ხორცი, რძის ნაწარმი, კარტოფილი) შემცველობაზე მიუთითებენ.

სამწუხაროდ, რამდენად შეესაბამება ასეთი ინფორმაცია სინამდვილეს, ამაში ჩვენი საზოგადოება არ არის კარგად გათვითცნობიერებული. არც თავად კომპანია და არც არასამთავრობოები ამ მიმართულებით მუშაობაზე თავს არ იწუხებენ.

საქართველოში სწრაფი კვების ობიექტებს შორის სწორედ „მაკდონალდსი“ სარგებლობს განსაკუთრებული პოპულარობით. კლიენტების რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი აქვს სწრაფი კვების ქსელ „ორ ლულასაც“. ობიექტი სრული დატვირთვით მუშაობს მთელი წლის განმავლობაში. ასეთ პოპულარობას ისინი დაბალი ფასებით და მენიუში არსებული საკვებით ხსნიან.

გაყიდვების კარგი მაჩვენებელი ფიქსირდება „შაურმის“ დამამზადებელ ობიექტებშიც, რომელიც დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე მდებარეობს. როგორც ობიექტში მომუშავე პერსონალი ამბობს, მათ ყოველთვის ჰყავთ კლიენტი და ხშირად არის შემთხვევები, როდესაც დახლთან რიგიც კი დგება.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინფორმაციით, განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს ორგანიზმს ის მავნე ნივთიერებები, რომლებითაც მდიდარია ქუჩის საკვები. უმთავრესად ესენია ცხიმები — ზეთები და მარგარინი, რომელსაც ამ პროდუქტების მომზადებისას იყენებენ. სამწუხაროდ, სწრაფი კვების ობიექტებში ხშირად მხოლოდ 2-3 დღეში ერთხელ (ან უფრო იშვიათად) ცვლიან ზეთს, რომელშიც წვავენ სხვადასხვა პროდუქტს, მრავალჯერ გაცხელების შედეგად კი ზეთში წარმოიქმნება არა მარტო ტოქსიკური, არამედ კანცეროგენული თვისებების მქონე ნივთიერებები.

ფენოვანი ხაჭაპურების, ლობიანების, ნამცხვრების მოსამზადებლად, როგორც წესი, იყენებენ მარგარინის იაფფასიან სახეობებს, რომლებშიც მაღალია მავნე ნივთიერებების — ე.წ. ტრანსცხიმების შემცველობა. ის ხელს უშლის საკვების ნორმალურ მონელება-ათვისებას და ავითარებს არაერთ პათოლოგიას.

2003 წლიდან ევროკავშირში მოქმედი კანონით, საკვებ პროდუქტში ტრანსცხიმების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს არსებული ცხიმის 2%-ს. სამწუხაროდ, საქართველოში მისი შემცველობა პროდუქტებში საერთოდ არ კონტროლდება და თავისუფლად იყიდება ტრანსცხიმებით გაჯერებული (მათი წილი, სავარაუდოდ, 40%-მდე აღწევს) მარგარინი, რომელიც დაბალი ხარისხის გამო იაფია და ფართოდ იყენებენ საცხობები.

ექიმი ენდოკრინოლოგი ნინო ნადირაძე დარწმუნებულია, რომ ე.წ. „ფასტ ფუდებში“ დამზადებული საკვები მავნე გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, რადგან საკვები გაჯერებულია უამრავი არასასურველი ნივთიერებით, რაც ჯანმრთელობისთვის, ზოგადად, საზიანოა და განსაკუთრებულ საფრთხეს ბავშვებისთვის წარმოადგენს.

**„სამწუხაროდ, მშობლებს ძალიან ხშირად დაჰყავთ ბავშვები „მაკდონალდსში“ და სხვა სწრაფი კვების ობიექტებში, რის შედეგადაც სავალალო შედეგებს იღებენ მოზრდილ ასაკში, როგორიცაა სიმსუქნე. ასეთი საკვები ზრდის კუჭის მოცულობას და, შესაბამისად, ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება უფრო მეტი საკვების მიღებაზე.**

**გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხშირად „ფასტ ფუდებში“ იყენებენ ცხიმს, რომელიც გაჯერებულია კანცეროგენით, ეს კი მთავარი ფაქტორია სიმსივნის წარმოსაქმნელად“,** — აღნიშნა ნინო ნადირაძემ.

თუ რამდენად არის დაცული საცხობებში და სხვადასხვა სახის კვების ობიექტებში ჰიგიენის ნორმები და რამდენად შეესაბამება ხარისხი მომხმარებლის ჯანმრთელობას, ამაზე მეტყველებს დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით არაჯანსაღი კვება, მოსახლეობის ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია. დედათა და ბავშვთა ავადმყოფობის 10% და ახალშობილთა სიკვდილიანობის 1/3 არასრულფასოვანი კვებით არის განპირობებული.

**გიორგი ბაქრაძე**

№75. სამშაბათი, 23 აპრილი, 2013 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში 2008 წლის ომის ახალი გამოკვლევა დაიწყება?

საქართველოს ახალი მთავრობა აცხადებს, რომ აუცილებელია კვლავ დაიწყოს 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება და ამას ხსნის, არა როგორც საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებას, არამედ, როგორც აუცილებლობასაც გაეცეს პასუხი შეკითხვებს, რომლებიც, რჩება საქართველოს ადრინდელი ხელისუფლებისადმი.

„მე არ ვფიქრობ, რომ ეს ზიანს მიაყენებს საქართველოს იმიჯს, ეს არც წინა ხელისუფლების იმიჯს მიაყენებს ზიანს. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ სიმართლით და არ გვეშინოდეს იმისი, რომ საზოგადოებამ იცის სიმართლე“, – თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა იუსტიციის მინისტრის განცხადებას აგვისტოს ომის გამოკვლევისა და სააკაშვილის შესაძლო დაკითხვის შესახებ.

რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის გამოძიება დაიწყო საქართველოს ყოფილი ხელისუფლების დროს, მაგრამ, ახალი ხელისუფლების სიტყვებით, ჩნდება შეკითხვები ამ გამოკვლევის სრულფასოვნებასთან დაკავშირებით.



„ამ მომენტისთვის ჩვენ ხელთ გვაქვს მრავალი ათეული ტომი, რომლებიც შეიქმნა წინა ხელისუფლების დროს, მაგრამ არის გარკვეული შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მოეწყო ეს გამოკვლევა მხოლოდ რამდენიმე და არა ყველა მიმართულებით“, – განაცხადა ქვეყნის იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

ბევრი უკვე ეჭვქვეშ აყენებს ახალი ხელისუფლების წინასწარ განუჭვრეტელობას აგვისტოს მოვლენების გამოკვლევასთან დაკავშირებით საქართველოში საშინაო პოლიტიკური სიტუაციის დაძაბულობის ფონზე.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც საქართველოში პარლამენტის არჩევნების შემდეგ ოპოზიციაში აღმოჩნდა, მიიჩნევს, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების ანონსირებული გამოკვლევა მიზნად ისახავს მოახდინოს სახელმწიფოს პირველი პირის დისკრედიტაცია და, ფაქტობრივად, ეს ხელს აძლევს მოსკოვს.

### „აჟიოტაჟისთვის საბაბი არ არსებობს“

იუსტიციის მინისტრის მოადგილის გოჩა ლორთქიფანიძის სიტყვებით, სრულფასოვანი გამოკვლევის მოწყობა – ეს საქართველოს არა მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულების საკითხია როგორც ქვეყნისა, რომელმაც ხელი მოაწერა რომის სტატუსს, არამედ პრესტიჟის საკითხიც.

„საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მთავარი პროკურორის ოფისში შევიდა დაახლოებით 4 ათასი ცნობა, მათში საუბარია შესაძლო დანაშაულებათა შესახებ, რომლებიც ასე ასოცირებული არიან კონფლიქტის ყველა მხარესთან. მე ამას, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულების თვალსაზრისით ვუყურებ. აქ არ არის საბაბი განსაკუთრებული პოლიტიკური აჟიოტაჟისთვის. ეს არის ჩვენი ვალდებულება და ჩვენ იგი უნდა შევასრულოთ“, – განაცხადა ლორთქიფანიძემ ჩვენთან ინტერვიუში.

საქართველოში სიტუაციის წინასწარი განხილვის შესახებ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურის ოფისმა გამოაცხადა ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში.

შარშან ნოემბერში გამოქვეყნებულ მოხსენებაში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არის გონივრული საფუძველი ვივარაუდოთ – სამხედრო მოქმედებების დროს ადგილი ჰქონდა წამებას, ქონების განადგურებას, მოროდიორობას და მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას.

კონფლიქტის მხარეთა მოქმედებების შემდგომი შეფასება, მათ შორის ბრალდებებისაც რუს სამშვიდობოებზე წინასწარ განზრახული თავდასხმის შესახებ, ჯერჯერობით არ იძლევა საბოლოო დასკვნის გაკეთების საფუძველს, მაგრამ იგი შეიძლება იქნეს განხილული იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება ახალი ფაქტები და დადასტურებანი.

### სააკაშვილი დაკითხვაზე

საქართველოს მთავარ პროკურატურაში საუბრობენ იმის შესახებ, რომ გამოძიება შეეხება აგვისტოს ომის დროს მომხდარის წმინდა სამართლებრივ შეფასებას.

„საკითხი შეეხება იმას, რომ დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი სამხედრო დანაშაულებს. ეს სამართალდაცვის ორგანოების ფუნქციაა, ჩვენ არ ვაწარმოებთ მომხდარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეფასებას, არ შევეხებით ამა თუ იმ სამხედრო ოპერაციის მიზანშეწონილებას“, – ამბობს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი.

ქართულ ოპოზიციას მიაჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის ვითარებათა ახალი გამოკვლევა ხელს აძლევს მოსკოვს.

კბილაშვილმა არ გამორიცხა, რომ იმ პირთა სიაში, რომლებსაც გამოიძახებენ დაკითხვაზე, შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს პრეზიდენტიც.

მისი სიტყვებით, იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი უარს იტყვის დაკითხვაზე, ყველა შესაბამისი პროცედურა შეჩერდება მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილებათა ამოწურვამდე, ვინაიდან კონსტიტუციით მას, როგორც პრეზიდენტს, აქვს ხელშეუხებლობის უფლება და მისი მოყვანა დაკითხვაზე ძალით არ შეიძლება.

არჩილ კბილაშვილს იმედი აქვს, რომ მოწმეთა დაკითხვაში, რომლებიც უცხოეთში იმყოფებიან, მათ შორის რუსეთშიც, დაეხმარება რუსეთის მხარე.

თავად საქართველოს პრეზიდენტმა უკვე განაცხადა, რომ არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან. მისი სიტყვებით, ეს გამოძიება „ანტისახელმწიფოებრივია“ და იგი მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

„ეს თავიდან ბოლომდე რუსეთის თამაშია. მე, ბუნებრივია, არ მივიღებ მონაწილეობას ამ გამოკვლევაში. ამას ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით ქართველი ხალხის, ისტორიისა და საერთაშორისო გაერთიანების წინაშე – არც ერთ ქართველ პატრიოტს არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ასეთ გამოკვლევაში“, – თქვა ამასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა.

### ხელს აძლევს მოსკოვს?

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე ოთარ კახიძე აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობის განცხადებაში ქვეყნის პრეზიდენტი და მისი გარემოცვა უკვე გამოკვლევის დაწყებამდე ფაქტობრივად გამოცხადებული არიან შესაძლო ეჭვმიტანილებად.

„როდესაც შენ გამოკვლევამდე ამბობ, თუ ვინაა შენი მიზანი, გამოკვლევა ერთმნიშვნელოვნად იძენს პოლიტიკურ შეფერილობას, მას უკვე აღარ გააჩნია სამართლებრივი მხარე“, – მიაჩნია კახიძეს.

„დღეს საქართველოს ძლიერი პოზიციები აქვს საერთაშორისო არენაზე, და დადასტურება ჩვენ მხარეზეა, და თუ ქვეყნის შიგნით თუნდაც პოლიტიკური განცხადებების დონეზე ბრალს დავდებთ წინა ხელისუფლებას, ამით დიდ ზიანს მივაყენებთ საქართველოს ინტერესებს“, – მიაჩნია ექსპერტს.

როგორც კახიძე ამბობს, ბრალდებებმა შესაძლო სამხედრო დანაშაულებათა შესახებ საქართველოს მხრიდან, ვერ მონახა დადასტურება, და „ეს ყოველივე დღეს ხელს მოსკოვს აძლევს“.

„მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ეს არ არის ღია რუსული თამაში და ისინი (ახალი მთავრობა) არ მოქმედებენ მოსკოვის დავალებით, რომ ეს უფრო მეტად გამოუცდელობის, ზედმეტი პოლარიზაციისა და პოლიტიკური და პირადი ზიზღის დადასტურებაა“, – ამბობს იგი.

ოთარ კახიძის აზრს უერთდება ევროპულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორიც კახა გოგოლაშვილი.

მისი სიტყვებით, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს იმ მასალების დეტალური შემოწმებიდან, რომლებიც უკვე შექმნილია აგვისტოს ომთან დაკავშირებით როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

გოგოლაშვილი აღნიშნავს, რომ განცხადებები, რომლებიც ჯერ კიდევ გამოკვლევის დაწყებამდე კეთდება ახალი ხელისუფლების მხრიდან, ხშირად უფრო ჰგავს მცდელობას, მოახდინოს წინა ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია და, საბოლოო ჯამში, ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



### „ნასამ“ წარმატებით გამოსცადა საკონტინენტთაშორისო კოსმოსური სადგურისთვის გათვალისწინებული „სატვირთო“ რაკეტა

თუმცა, ეს გაშვება მოხდა მხოლოდ მესამე მცდელობის შემდეგ. თავდაპირველად რაკეტის კოსმოსში გაშვება გათვალისწინებული იყო 17 აპრილისთვის. მაგრამ იმ დღეს კაბელი დროზე ადრე მოწყდა მზიდის მეორე საფეხურს სტარტზევე. შემდეგ გაშვება გადაიდო ბუნებრივი პირობების გამო.

### ჯოხარ ცარნაევი გონს მოვიდა. მას გამომძიებლები დაკითხავენ

ბოსტონის მარათონის დროს ტერორისტულ აქტში ეჭვმიტანილი შეკითხვებს უპასუხებს წერილობით, ვინაიდან ლაპარაკი არ შეუძლია ყელის სერიოზული ჭრილობის გამო. კონგრესმა გამოკვლევის ფედერალურ ბიუროს მოსთხოვა ანგარიში, რომელმაც ხელიდან გაუშვა ცარნაევის უფროსი ძმა.

### შვეულმფრენი რუსი პილოტებით პირდაპირ ავღანელი თალიბების ხელში ჩავარდა

ხომალდის ბორტზე ორი რუსეთელის გარდა, იყვნენ აგრეთვე შვიდი თურქი და ერთი ავღანელი (მთარგმნელი). ინციდენტი მოხდა პაკისტანის საზღვართან დასახლებულ პუნქტ აზრას რაიონში ლოგარის პროვინციაში. შვეულმფრენი იძულებული იყო მოეხდინა დაჯდომა ცუდი ბუნებრივი პირობების გამო.

### ინგლისელი პორნო-ბარონის მემკვიდრე 21 წლის ასაკში დედოფალ ელისაბედ მეორეზე მდიდარი აღმოჩნდა

გარდაცვლილი მილიარდერის პოლ რეიმონდის შვილიშვილმა თავის დასთან ერთად მემკვიდრეობით მიიღო 500 მილიონი დოლარი, რამაც უზრუნველყო მათი რეიტინგის გასვლა მდიდარი ინგლისელების სიაში. ისინი უფრო მდიდრები არიან, ვიდრე დედოფალი ელისაბედ მეორე. ინდია როუზ ჯეიმსი შეეჩვია ფულების ხარჯვას მოგზაურობაში, ღამის წვეულებებში და უბრალოდ, იმის ყურებაში, თუ როგორ იწვის ცეცხლში ფული.

### პარაგვაიელებმა პრეზიდენტად ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი თანამოქალაქე აირჩიეს

56 წლის ორასიო კარტესის გამარჯვება აღნიშნავს ხელისუფლებაში მის დაბრუნებას ხუთწლიანი შესვენების შემდეგ და ეროვნულ-რესპუბლიკური ასოციაცია – პარტია „კოლორადოს“ დაბრუნებასაც, რომელიც წინა არჩევნებზე დამარცხებამდე ქვეყანას 61 წლის განმავლობაში მართავდა შეუწყვეტლივ.

### ნიგერიაში ისლამისტებთან არმიის შეტაკების დროს დაიღუპა 185 კაცი – ბოევიკებმა „ცოცხალი ფარი“ გამოიყენეს

ინციდენტი მოხდა ჩრდილოეთის მეთევზეთა ქალაქ ბაგაში. საბრძოლო მოქმედებები დაიწყო პარასკევ საღამოს და გაგრძელდა რამდენიმე საათის განმავლობაში. ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ ქალაქიდან. დაბრუნების შემდეგ მათ დაინახეს, რომ სახლების დიდი ნაწილი დანგრეულია, ქუჩებში ადამიანთა და ცხოველთა ცხედრები ყრია.



◉ შაბათ-კვირის ჩანაწერები

## ნეტა, „ქართული ოცნება“ არ აპირებს „საკუთარი“ დროშის შექმნას?!

ისტორიიდან ცნობილია: 1918 წელს „ხონჩით მორთმეულ“ დამოუკიდებლობას ქართველმა „სოციალ-დემოკრატებმა“ თავიანთი სამფეროვანი დროშა შეაგებეს და, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ეს დროშა იქცა შემდეგ დამოუკიდებელი ქვეყნის სიმბოლოდ. მერე, კარგა ხანს, წითელ დროშას ვაფრიალებდით, თუმცა, როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკას, საქართველოსაც გააჩნდა საკუთარი ალამი.

1990-იანი წლების დასაწყისში ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ გამოამზეურეს სათუთად გადანახული ოციანი წლების დასაწყისში დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, რომელიც, კარგა ხანს, ედუარდ შევარდნაძის გადადგომამდე, ჩვენი ქვეყნის სიმბოლოდ ითვლებოდა. მოვიდნენ „დამთხვეულები“ და, თავიანთი ჭკუით, ახალი ქვეყნის შენება რომ დაიწყეს, ძველ ეროვნულ სიმბოლოებს როგორ იკადრებდნენ?! შეიცვალა გერბი, აკაკი წერეთლის ლექსისა და ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის შთაგონებით ახალი ჰიმნი შექმნეს პოეტმა დავით მაღრაძემ და კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყმაძემ, რა თქმა უნდა, სამფეროვან დროშასაც „მიადგნენ“ „ნაცები“ და ხუთჯვრიანი დროშა დაამკვიდრეს (ვითომ ძალიან სწამდათ ჯვარი, ღმერთი და რჯული) შინ და გარეთ.



კი ბატონო, რაც არის, არის, მაგრამ საკითხავია, რატომ დაისაკუთრეს, რატომ დააფრიალებენ დიდის ამბით წინ და უკან, ყველგან და ყოველთვის, ამ დროშას „ნაცები“?! საერთოეროვნული დროშაა იგი, ყველასია, თუ მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობისა“?! რატომ აკნინებთ მის უწმინდეს მნიშვნელობას პატივცემულო „ვარდოსნებო“?! რატომ იდგა მაგალითად, თქვენს „გრანდიოზულ“ აქციაზე პარასკევ ნაშუადღევს, ჩვეულებრივ, ხუთჯვრიანი დროშების ტყე?!

როგორც გავიგე, ხელისუფლებაში მოსული „ოცნება“, კონკურსის გამოცხადებას აპირებს ახალი ეროვნული დროშის შესაქმნელად. ჰა, ვითომ, რატომაც არა?!. ეს, ისე, ხუმრობაგაშვებით... მაგდენი ჭკუა კი აქვს ბიძინა ივანიშვილს, რომ, თქვენსავით, სატინგიცოდ არ გახადოს ყოველივე ეროვნული!..



## ვახ, ვახ, ერთი წელიც რომ დაცლოდათ!..

**ხომ ააყვავეს ქვეყანა, ხომ გააერთიანეს საქართველო და ჩაახუტეს მისი კუთხეები ერთმანეთს, მაინც დაგვრჩა რაღაც-რაღაცები გასაკეთებელიო, ერთი წელიც რომ დაგვცლოდაო... — სინანულით ამბობს მიშა სააკაშვილი გადაცემა „პოზიციაში“.**

— ერთი წელიც რომ დაგვცლოდაო!.. — სინანულით ამბობს ვანო მერაბიშვილი თავისივე „გაიმასქნებულ“ აქციაზე პარლამენტის წინ.

დედა, როგორ მაინტერესებს, მაინც რას იზამდით?! ცხრა წელიწადია საქართველო გაამათხოვრეთ, ცხრა წელიწადია სანაგვეებში ეძებს ქალი და კაცი ლუკმა პურს... დავიჯერო, მაგათ დაპურებას აპირებდით?! მობრძანებულიყავით ცოტა ადრე თქვენსავე აქციაზე და ნახავდით იქ, გამზირის ორივე მხარეს არიგებულ-ჩარიგებულ ხელგაშვერილ უბედურ შაოსნებს, „სარფიანი“ დღე რომ დასდგომოდათ — ამდენ ხალხში, იქნებ, რამდენიმე თეთრით მეტი ეშოვათ.

ერთი წელიც რომ დაგვცლოდაო... ცინიზმი უფრო შორს ვერ წავა!..

## ვანდა — ნორჩი მხატვრების გამხარებელი

მარჯვე ქალია **ვანდა მუჯირი**, იძულებული რომ შეიქმნა, სამხატვრო გალერეა „ჰობის“ დარბაზები პატრონისთვის დაებრუნებინა, მოკლე დროში საკუთარი გალერეა **„ვანდა“** გახსნა და შესანიშნავ ექსპოზიციებსაც გვთავაზობს. ახლახან კი უმასპინძლა გამოფენა-კონკურსს **„ოქროს პალიტრას“**, რომელიც ვანდა მუჯირმა 2004 წელს დააფუძნა, ტარდება ყოველწლიურად და მასში უამრავი ბავშვი მონაწილეობს. კონკურსის თემა თავისუფალია. მისი მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი ბავშვები, გააცნოს ისინი ფართო საზოგადოებას და პროფესიონალებს, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა შემოქმედთა მომავალ ზრდასა და წარმატებულ წინსვლას. საკონკურსო ნამუშევრებს აფასებს კომპეტენტური ჟიური.

მეხუთე წელია, რაც კონკურსის ერთგული პარტნიორია „ბალი“.

წელს კონკურსში მონაწილეობას იღებდა ხუთიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის 190-ზე მეტი ბავშვი.

უნდა გენახათ მათი სიხალისე, ანთებული თვალები „მაგთი კლუბში“, სადაც ყველას ერგო საპატიო დიპლომი და საჩუქარი, ხოლო გამარჯვებულებს სპეციალური ჯილდო.

ცხადია, გახარებული იყო ვანდა მუჯირიც, რომელიც სამომავლო კონკურსისთვის აქედანვე იჭერს თადარიგს.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## შეტყობინება კონტრაქტის გაფორმების შესახებ

პროექტი P122204 მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (SLRPII)

კონტრაქტის № SLRPII/CS/CQS-02

კონტრაქტის აღწერა: კახეთის რეგიონში შესრულებაზე დაფუძნებული რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის კონტრაქტებისათვის გზის მომხმარებლების კმაყოფილების კვლევა

შერჩევის მეთოდი: CQS -კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევა

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 4 თვე

კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: 18 აპრილი 2013 წელი

ვალუტა: GEL -ქართული ლარი

**შეფასებული საკონსულტაციო ფირმები:**

სახელი: GORBI (Georgian Opinion Research Business International) ქვე-კონტრაქტორ WICO Consult LLC-თან ერთად

მისამართი: ქ. თბილისი, 0166, ტაშკენტის ქუჩა № 34

სახელი: საზოგადოებრივი კვლევის ინსტიტუტი

მისამართი: ქ. თბილისი, 0179, ჭავჭავაძის გამზირი № 10

სახელი: შპს “საქგზამეცნიერება”

მისამართი: ქ. თბილისი, 0160, ჯიქიას ქუჩა № 8ა

**საკონსულტაციო ფირმა, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება**

სახელი: შპს ,,ეისითი კვლევა’’

მისამართი: ქ. თბილისი, 0194, საირმის გორა 51

საბოლოო შეთანხმებული ღირებულება: GEL 240,173

## Contract Award Notice

Georgia

Project: P122204 – Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)

Contract Reference No: SLRPII/CS/CQS-02

Scope of Contract: **Roads Users Satisfaction Survey for Performance-Based Road Rehabilitation and Maintenance Contract in Kakheti and other Regions**

Method of Selection: CQS – Consultants' Qualification Selection

Duration of Contract: 4 Months

Contract Signature Date: 18 April 2013

Evaluation Currency: GEL - Georgian Lari

**Evaluated Consultant(s)/Firm:**

Name: GORBI (Georgian Opinion Research Business International) with the subcontractor WICO Consult LLC

Address: 34, Tashkent Street, 0166, Tbilisi, Georgia

Name: The Institute for Policy Studies (IPS)

Address: 10, Chavchavadze Avenue, 0179, Tbilisi, Georgia

Name: Sakgzametsniereba Ltd.

Address: 8a Jikia Street, 0160, Tbilisi Georgia

**Awarded Consultant(s)/Firm:**

Name: “ACT” Ltd.

Address: Sairme Hill 51; Tbilisi, Georgia

Final Negotiated Price: GEL 240,173

◉ ნუთუ ეს მართალია?

## ჯალათი პედაგოგი მოსწავლეებს ჯოხით დაერია

გორის რაიონის ვერტის სკოლის რამდენიმე მოსწავლის მშობელი სკოლის პედაგოგს ირინა ტურაშვილს უპირისპირდება და მეორე კლასელების სასტიკად ცემაში ადანაშაულებს. მშობლების განცხადებით, პედაგოგმა რამდენიმე დღის წინათ ბავშვებს ჯოხით სცემა, მხოლოდ იმიტომ რომ გაკვეთილზე იცინოდნენ. მათივე თქმით, შვიდი წლის გოგონას მანანა კაბისოვას სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

გოგონას დედის ია კაბისოვას განცხადებით, ბავშვს სამი დღის განმავლობაში პირღებინება ჰქონდა. გოგონას წოლითი რეჟიმი აქვს და ის სკოლაში არ დადის. გოგონაც და მისი თანაკლასელებიც აცხადებენ, რომ მასწავლებელმა ჯოხი თავის არეში ჩაარტყა. მოზარდებზე ფიზიკური ძალადობის ფაქტს ადასტურებს სკოლის დირექტორიც.

მზევინარ ცარიელაშვილი ამბობს, რომ მიმდინარე მოკვლევის შედეგად პედაგოგის მხრიდან ბავშვების ცემის ფაქტი დასტურდება. დირექტორის განცხადებით, ირინა ტურაშვილს სხვადასხვა გადაცდომაზე არაერთი საყვედური აქვს მიღებული.

მოკვლევის დასრულების შემდეგ დირექტორი არ გამორიცხავს, რომ პედაგოგს სამსახურის დატოვება მოუხდეს.

კაბისოვას მშობელმა შვილის ცემის ფაქტზე პოლიციას განცხადებით უკვე მიმართა.

რაც შეეხება პედაგოგს ირინა ტურაშვილს, რომელიც სკოლაში გეოგრაფიის გარდა დაწყებით კლასებში მუსიკასაც ასწავლის, ამ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ამ განცხადებების უკან სკოლის დირექტორი დგას, რომელთანაც უთანხმოება აქვს.

პედაგოგი ტურაშვილი განათლების სამინისტროს მიმართავს და სკოლაში შექმნილ მდგომარეობაზე რეალობის დადგენის მიზნით მოითხოვს მოკვლევის ჩატარებას.

ინტერპრესი

## განცხადება

2013 წლის 17 ივნისს, დღის 14 საათზე, სენაკის რ-ნის ს. ძველ სენაკში მდებარე შპს „არქეოპოლისის“ ასფალტის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია რეგიონში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- **ქ. თბილისი გულუას ქ. №6. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი);**
- **ს. ძველი სენაკი, სენაკის რ-ნი, საწარმოს ადმინისტრაციული შენობა;**
- **ქ. თბილისი, აბო-თბილელის ქ. №12.**

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე: სენაკის რ-ნი, ს. ძველი სენაკი.

საკონტაქტო პირები: დავით გვარამია ტელ: 595 11 86 34;

გენადი უბირია ტელ: 579 02 01 10.

მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 5 ივნისი.

სს „არქეოპოლისის“ დირექტორი დ. გვარამია

2013 წლის 22 აპრილს ნოტარიუსთან გაიხსნა სამკვიდრო 1977 წლის 5 დეკემბერს გარდაცვლილი ვერა ქუთათელაძის ქონებაზე ანდერძისმიერი მემკვიდრის ცოტნე ნაკაშიძის მიერ. დაინტერესებულ პირებს სამკვიდროს მისაღებად შეგიძლიათ მიაკითხოთ ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №7, ნოტარიუსი იამზე ჩანქსელიანი.

◎ ჭიდაობა

# ქართველ ფალავანთა უხვი ნადავლი

ბაქოში აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. „კლასიკოსებმა" სხვადასხვა სინჯის 16 მედალი დაიმსახურეს. აქედან 11 ჯილდო ვაჟა კრავეიშვილის შეგირდებზე მოდის. ჭაბუკებიდან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი მელია (69 კგ) და ზვიად პატარიძე (100 კგ). მიზნის მისაღწევად თითო გამარჯვება დააკლდათ ნუგზარ წურწუმიას (42 კგ), დავით ჩხარტიშვილს (50 კგ), ნუკრი შავაძესა (76 კგ) და გიგა ქოქოლაძეს (85 კგ), რომლებიც მეორე ადგილებით დაკმაყოფილდნენ. ბრინჯაოს მედლები იური ლომაძეს (54 კგ), გიორგი გუჯაბიძეს (58 კგ), სულიკო ვახტანგაძეს (63 კგ), ირაკლი თარხნიშვილსა (76 კგ) და შოთა ცალუღელაშვილს (85 კგ) ერგოთ.




ვლადიმერ ადეიშვილის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ხუთი მედალი მოიპოვა. ტურნირი წაუგებლად ჩაამთავრეს და პირველ ადგილებზე გავიდნენ შმაგი ბოლქვაძე (66 კგ) და იაკობ ქაჯაია (120 კგ). ლაშა გობაძემ (74 კგ) და ნუკრი ფერსელიძემ (96 კგ) ფინალები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, ირაკლი შავაძე (50 კგ) კი მესამე ადგილზე გავიდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჭაბუკებმა მეორე, ახალგაზრდებმა კი მესამე ადგილი დაიკავეს.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონი ემზარ ბედინეიშვილი წვრთნის. ბაქოს ტურნირი მისთვის სადებიუტო იყო და შეგირდებმაც არ დაალალატეს — სამივე სინჯის ორ-ორი მედალი მოიხვეჭეს. განსაკუთრებით ალექსანდრე კილაძემ (42 კგ) და შმაგი თოდუამ (46 კგ) იყოჩაღეს: კილაძემ მეოთხედფინალში ყაზახ სანიარბეკ ტურდუბაევს, ნახევარფინალში თურქ უტკუ დოგანს აჯობა, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში ყაზახეთის ნაკრების წევრ აიბეკ სულეიმანოვს სძლია და ოქროს მედალი დაიმსახურა. თოდუამ ფინალის გზაზე აზერბაიჯანელები — ფაზილ ჰასანოვი და ოქსან აბასოვი ჩამოიცილა, პირველი ადგილი კი ყაზახი ნურიან სეიდოვის დამარცხებით დაიკავა. მეორეზე გავიდნენ ედუარდ ნიკოლიშვილი (63 კგ) და ტარიელ გაფრინდაშვილი (69 კგ), რომლებმაც ფინალები, შესაბამისად, მასპინძლებთან - რუსტამ ქასიმოვთან და მაჰამადრასულ მუხუტდინოვთან დათმეს. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე რამაზ ზოიძე (58 კგ) და გივი მაჭარაშვილი (100 კგ) ავიდნენ. გუნდურში ჭაბუკებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

ახალგაზრდულ ნაკრებს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი გოგშელიძე უდგას სათავეში. მისი თავკაცობით უფროსებში ევროპის მესამე პრიზიორმა გენო პეტრიაშვილმა (მძიმე წონა) აზერბაიჯანის თასის ფინალში მასპინძელი ალი მაგომედაბიროვი დაჯაბნა და ოქროც დაისაკუთრა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ასევე, პირველი იყო ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი შოთა ფარტენიძე: თურქების — სედატ ოზდემირისა და ბურაკ დოგანის ძლევის შემდეგ გადამწყვეტ პაექრობაში მანაც აზერბაიჯანელ ნურლან ჰაციევს აჯობა. ვერცხლის მედლები ერგოთ ბექა ბუჯიაშვილსა (55 კგ) და როლანდ ანდრიაძეს (96 კგ). ბუჯიაშვილს პირველობა მასპინძელმა რუსლან სურხაევმა დააკარგვინა, ხოლო ანდრიაძე თურქ იუსუფ ზეიბეკთან დამარცხდა. სწორედ ამ თურქმა აჯობა მეოთხედფინალში გიორგი კაკაურიძეს, რომელიც საბოლოოდ მესამე იყო. ამ შედეგით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში სამეულს მიღმა აღმოჩნდა.

**ლექსო ცინცაძე**

◎ რაგბი

# „ლელო" მეტოქეს დაელოდება

**საქართველოს წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის რეგულარულ გათამაშებაში პირველობისთვის უმთავრესად ქვეყნის ჩემპიონი „არმია" და „ლელო" იბრძოდნენ. საბოლოოდ ძალოვანებმა იძალეს და პირველ საფეხურზეც დამკვიდრდნენ, მაგრამ პლეი-ოფში ლიდერის მაისურა მეტოქეს დაუთმეს, რადგან შესარჩევ ფინალში „ლელოსთან" დამარცხდნენ და ახლა ტიტულის შესანარჩუნებლად ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად ქუთაისის „აიას" უნდა დაუპირისპირდნენ.**



წინასწარი ფინალი „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. არც იყო გასაკვირი, რადგან გამარჯვებული პირდაპირ დიდ ფინალში გადიოდა. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ორმხრივი იერიშებით დაიწყო, თუმცა მორაგბეები ზოგჯერ ზედმეტადაც კი ფრთხილობდნენ. ანგარიში მე-10 წუთზე არმიელებმა გახსნეს: მეტოქის შეცდომით ნინიძემ ისარგებლა და ლელო გაიტანა, ხოლო კობახიძემ ზუსტად გარდასახა — 7:0.

ამის შემდეგ უპირატესობას „ლელო" დაეუფლა, მაგრამ ჩემპიონები კარგა ხანს წარმატებით იცავდნენ თავს, თუმცა ორჯერ დაჯარიმდნენ და ყიასაშვილმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, რასაც არმიელებმაც ორი ზუსტი საჯარიმოთი უპასუხეს — 13:6. პირველი ტაიმიც ასე დასრულდა. შესვენების შემდეგ „ლელომ" მატჩში გარდატეხა შეიტანა, საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 24:16 და დიდ ფინალში ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მისი მეტოქე 27 აპრილს „არმია" — „აიას" წინასწარ ფინალში გაირკვევა. ქუთაისელმა მორაგბეებმა ჩემპიონობისთვის პაექრობის შანსი შინ გასავარდნ ფინალში „არმაზის" ძლევით შეინარჩუნეს. რეგულარულ ჩემპიონატში ამ გუნდების ორივე დაპირისპირებაში რიონისპირელებმა იმარჯვეს და წარმატების მიღწევა არც ახლა გასჭირვებიათ. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 27:5 მოიგეს. შესვენების შემდეგ „აიას" შეტევებს სიმწვავე მოაკლდა, რადგან მასპინძლებმა საქმე მომთავრებულად მიიჩნიეს. ამან სტუმრების გააქტიურება გამოიწვია, თუმცა, დიდი ცდის მიუხედავად, „არმაზმა" საწადელს ვერ მიაღწია, რადგან „აია" თავს უშეცდომოდ იცავდა. მასპინძლებმა მატჩი 32:12 მოიგეს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინასწარ ფინალში „არმიასთან" გაარკვევენ ურთიერთობას. დიდი ფინალი 25 მაისსაა დაგეგმილი.

**გივი გაგუა**

◎ ჭადრაკი



## პირველი რაუნდის რჩეულნი

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს მოჭადრაკეთა გრან პრის გათამაშების პირველი ეტაპი რაპიდსა და ბლიცში.** გამარჯვებულები და პრიზიორები შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურმა გამოავლინა. სწრაფ ჭადრაკში (რაპიდი, თითოეული პარტიისთვის 15-15 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) **ქალთა შორის საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:** 1. სოფიკო ხუხაშვილი (7,5 ქულა), 2. ლელა ჯავახიშვილი (7), 3. მაია ლომინეიშვილი (6,5). **ვაჟები.** 1. ლუკა პაიჭაძე (7,5), 2. კონსტანტინე შანავა (7,5), 3. დავით ზარქუა (7).

ელვისებურ ჭადრაკში (ბლიცი, თითოეული პარტიისთვის 3-3 წუთი, ყოველ სვლაზე 2-2 წამის დამატებით) კვარცხლბეკზე ავიდნენ: **ქალები.** 1. ბელა ხოტენაშვილი, 2. მერი არაბიძე, 3. სოფიკო გურამიშვილი (სამივეს — 6,5-6,5 ქულა), **ვაჟები.** 1. ლევან ფანცულაია (8), 2. კონსტანტინე შანავა (7,5), 3. თამაზ მგელაძე (7).

გრან პრის გათამაშებაში პირველ (250 ლარი, 500 ქულა), მეორე (150 ლარი, 300 ქულა) და მესამე (100 ლარი, 250 ქულა) ადგილებზე გასულებმა ფულადი პრიზები და სარეიტინგო ქულები დაიმსახურეს.

**ლაშა დიდია**

◎ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XXVIII ტური. I-VI ადგილები:** „ბაია" — „დინამო" 0:2, „ტორპედო" — „ჩიხურა" 1:1, „ზესტაფონი" — „დილა" 0:3.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო" — 66, „დილა" — 62, „ტორპედო" — 55, „ჩიხურა" — 51, „ზესტაფონი" — 39, „ბაია" — 35 ქულა.

* * *

**იტალია.** „იუვენტუსი" — „მილანი" 1:0, „ნაპოლი" — „კალიარი" 3:2, „ფიორენტინა" — „ტორინო" 4:3, „ინტერი" — „პარმა" 1:0, „რომა" — „პესკარა" 1:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა" — „ლევანტე" 1:0, „რეალი" — „ბეტისი" 3:1, „სევილია" — „ატლეტიკო" 0:1, „ვალენსია" — „მალაგა" 5:1, „დეპორტივო" — „ბილბაო" 1:1.

**ინგლისი.** „ტოტენჰემი" — „სიტი" 3:1, „ფულჰემი" — „არსენალი" 0:1, „ლივერპული" — „ჩელსი" 2:2, „სანდერლენდი" — „ევერტონი" 1:0, „ვესტ ბრომვიჩი" — „ნიუკასლი" 1:1.

**გერმანია.** „ჰანოვერი" — „ბაიერნი" 1:6, „ბორუსია" — „მაინცი" 2:0, „ლევერკუზენი" — „ჰოფენჰაიმი" 5:0, „აინტრახტი" — „შალკე" 1:0, „ვერდერი" — „ვოლფსბურგი" 0:3.

**საფრანგეთი.** „პარი სენ-ჟერმენი" — „ნიცა" 3:0, „მონპელიე" — „ლიონი" 1:2, „მარსელი" — „ბრესტი" 1:0.



**ლიგის თასის ფინალი.** „სენტ ეტიენი" — „რენი" 1:0.

**გიორგი შოთაძე**

◎ დარბაზბურთი

# რექტორთა ვნებანი

**30 უმაღლესი სასწავლებლის გუნდი მონაწილეობდა ფუტსალში საქართველოს სტუდენტური ლიგის ტრადიციულ ჩემპიონატში, რომელიც 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.**

აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და კომპანია „ბილაინის" ორგანიზებით გამართული ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრას სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" ფინალისტების რექტორები ალექსანდრე კვიტაშვილი და გიორგი კავთელიშვილი დაესწრნენ, ხოლო გამარჯვებულები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა დააჯილდოვა.

**გაუწყებთ დასკვნითი მატჩების შედეგებს და ინდივიდუალური პრიზების მფლობელთა ვინაობას.**

**ფინალი.** თსუ — სეუ 3:0 (თევზაძე, გარსევანიშვილი — 2). **III ადგილისთვის** სტუ — სასოფლო 8:5.

**ყველაზე ტექნიკური მოთამაშე** — გიგა დანელია (სასოფლო).

**საუკეთესო მეკარე** — გიორგი ვეშაპიძე (სეუ).

**საუკეთესო მოთამაშე** — ზურაბ გარსევანიშვილი (თსუ).

**საუკეთესო მწვრთნელი** — დავით ბობოხიძე (თსუ).

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ კალათბურთი

# ოკეანის გაღმა-გამოღმა

**სუპერლიგის პლეი-ოფის დაწყებამდე ქუთაისმა ეროვნული ჩემპიონატის ყველა ვარსკვლავის მატჩს მეორედ უმასპინძლა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებთან სალაღობო ბრძოლაში წარმატებას ლეგიონერებმა მიაღწიეს — 122:108.

**ყველაზე შედეგიანები:** ბენჯამენ რეიმონდი („არმია", 26 ქულა, 8 მოხსნა. მასვე გადაეცა შეხვედრის ყველაზე სასარგებლო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი); გიორგი ბარბაქაძე („ქუთაისი", 24 ქულა. მანვე მოიგო სამქულიანების კონკურსი).

რაც შეეხება ბურთის კალათში ჩატენვას, იგი ყველაზე ეფექტურად კახა ჯინჭარაძემ („სოხუმი") შეასრულა.

* * *

**ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი-ოფების სტარტს რამდენიმე კლუბი ტრავმირებული ლიდერებით შეხვდა, რამაც ასახვა ტაბლოზე ჰპოვა.**

ჩვენ, ბუნებრივია, „ატლანტას" ცენტრის ზაზა ფაჩულიასთვის სეზონის ნაადრევად დასრულება გვაფიქრებს, თუმცა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსისა" და „ბოსტონის" საკადრო პრობლემებიც გასათვალისწინებელია, რომლებმაც, შესაბამისად, კობი ბრაიანტი და რაჯერ რონდო დაკარგეს.

**გაუწყებთ პირველი მერვედფინალური ბრძოლების შედეგებს:** „ინდიანა" — „ატლანტა" 107:90, „ბრუკლინი" — „ჩიკაგო" 106:89, „ნიუ იორკი" — „ბოსტონი" 85:78, „სან ანტონიო" — „ლეიკერსი" 91:79, „ოკლაჰომა" — „ჰიუსტონი" 120:91, „მაიამი" — „მილუოკი" 110:87, „კლიპერსი" — „მემფისი" 112:91, „დენვერი" — „გოლდენ სტეიტი" 97:95.



**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ჩოგბურთი



# დანავსული· მეცხრე ცდა

**მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა სეზონში მესამე და კარიერაში 37-ე მასტერსი მოიგო.**

ეს მონტე-კარლოს კორტზე მოხდა, სადაც სერბმა ფინალურ ბრძოლაში ახალგამოჯანმრთელებული რაფაელ ნადალი დააჩოქა — 6:2, 7:6.

აღსანიშნავია, რომ თიხნარის ესპანელ მეფეს აქამდე ზედიზედ რვაჯერ(!) დაუპყრია მონაკოს გრან-პრი.

**მანუჩარ გიორგაძე**

## დედაქალაქი

# „არაჩვეულებრივი გამოფენის“ გასაჭირი

მსოფლიოში, ფაქტობრივად, არ არის ისეთი დიდი ქალაქი, მით უმეტეს დედაქალაქი, სადაც საგანგებოდ გამორჩეული კუთხე არ იყოს, რომელიც მხატვართა, ხალხური რეწვის ოსტატთა, ხალიჩების, ფარდაგების თუ გობელენების მქსოველთა, მექოთნეთა, მოქანდაკეთა, მოკლედ, ხელოვნების თუ ხალხური რეწვის სხვადასხვა მიმართულების ხელოვანის თავშეყრის, გამოფენა-გაყიდვის საყოველთაოდ ცნობილი, ხალხში თუ ტურისტებში პოპულარული ადგილი არ იყოს. ასეთი კუთხეებია ევროპის არა მარტო დედაქალაქებსა და დიდ, ტურისტებისთვის მეტად მიმზიდველ ქალაქებში, არამედ პატარა პროვინციულ ცენტრებშიც, სადაც მნახველებს ადგილობრივი შემოქმედნი თავიანთი შემოქმედების ნიმუშებს სთავაზობენ. და ყველგან ასეთი უბნები, თუნდაც იგივე საქვეყნოდ ცნობილი მონმარტრის ბორცვი პარიზში, ადგილობრივ ხელისუფალთა — როგორც რაიონულის, ისე ქალაქისა და, წარმოიდგინეთ, სახელმწიფოსიც კი — განსაკუთრებული რუდუნებით მოსავლელი, სათუთი და საამაყო ადგილებია.

ასეთი ადგილი თბილისში ორია — ერთი რუსთაველის პროსპექტზე, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გვერდით, მთაწმინდის ამჟამად უმოქმედო საბაგირო გზის ქვედა სადგურის წინ კიბეებზე, მეორე — მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დედაენის პარკის დასავლეთ ნაწილში, სადაც მხატვრები, კერამიკოსები, მქსოველები, მეხანჯლეები და სხვა დარგების ხელოვნები ყოველდღიურად მრავლად არიან და ბაღის იმ ნაწილს, ბაზრობის გადმოლმა მხარეს, ერთიანად არიან მოდებულნი. განსაკუთრებულად მრავლად კი შაბათ-კვირაობით არიან ხოლმე, როცა მათი რიცხვი უქმე დღეებთან შედარებით თითქმის ორმაგდება, რადგან ბევრი მათგანი სხვაგანაც მუშაობს, მხატვრობა, ხალხური რეწვა კი შემოსავლის დამატებითი წყაროა.



ჩვენი სალაპარაკო სატკივარი თემა დღეს სწორედ ეს ორი „არაჩვეულებრივი გამოფენაა“, უფრო სწორად კი მათ მოქმედებასთან დაკავშირებული გარკვეული მეტად არასასიამოვნო და, ცოტა არ იყოს, ერთობ უხერხული მომენტიც კი.

დავიწყებ იმით, რომ ბაღში მხატვრების ადგილსამყოფელთან ბაზრობის მეზობლობა ბოლო დრომდე მაინცდამაინც დიდ დისკომფორტს არ ქმნიდა: ათასი წვრილმანით მოვაჭრენი სანაპიროზე ჩამავალი პატარა ქუჩის ტროტუარზე კი არიან ამოსულ-დაბანაკებული, მაგრამ ვინაიდან ტურისტების ძირითადი ნაკადი მხატვრებთან უმთავრესად მშრალი ხიდის მხრიდან და მის ქვეშ გამავალი ტრასიდან მიდის, ეს მეზობლობა და ერთგვარად „ჩახერგილი“ მისასვლელები შემოქმედებს დიდად არ აწუხებდათ. მაგრამ ეს ბოლო თვეებია, რაც წვრილმოვაჭრეებმა „არაჩვეულებრივი გამოფენის“, ასე ვთქვათ, „ფასადური“ მხარის ათვისება დაიწყეს ინტენსიურად: გზად მიმავალი კაცისთვის ნახატები, ხელოვნების სხვა ნიმუშები, ფაქტობრივად, აღარ ჩანს. ჭურჭლით, სარეცხი ფხვნილებით, ათასი სხვა საოჯახო თუ საყოფაცხოვრებო საქონლით მოვაჭრეებმა თავიანთი დახლები უამინდობისგან დასაცავად — ზოგმა ნაჭრის ტენტებითა და ფარდებით, ზოგმაც ცელოფნით „გაალამაზა“, თუმცა კი ესთეტიკური და ვიზუალური შედეგი ერთია — იქაურობა ერთიანად რაღაც უშნო, უსახო ბაზრობას დაემგვანა, მხატვრები და მათი მეგობრები კი ამ უგვანო-უგემოვნობის ალყაში აღმოჩნდნენ და მნახველ-მყიდველიც საგრძნობლად შემოაკლდათ.

კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელზეც ძველი თბილისის რაიონის მესვეურთ თუ დედაქალაქის მამებმა გვინდა, რომ ყურადღება მიაქციონ, ამ ორი თბილისური „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ადგილზე... საზოგადოებრივი ტუალეტების უქონლობაა. რაოდენ ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს, ის ხალხი, ვინც, ფაქტობრივად, მთელ დღეს დარსა თუ ავდარში, მცხუნვარე მზეში თუ ქარიან წვიმასა და თოვლში ბეღურასავით აბუზული თავის ნამუშევრებთან ატარებს მყიდველის მოლოდინში, უკაცრავად და, მოსასაქმებლად ან მტკვარგადაღმა უნდა გავიდეს, ანდა ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილას მიაშუროს, თუმცა ახლა იქაც მისვლის აზრი აღარ აქვს, რადგან ოდესღაც იქ არსებული კინოთეატრის გვერდით საზოგადოებრივი საპირფარეშოც მოშალეს.

აქვე ერთი პატარა გადახვევა გვინდა გავაკეთოთ. დედა-ენის ბაღში „არაჩვეულებრივ გამოფენას“ მარტო შემოქმედთათვის როდი აქვს დიდი მნიშვნელობა იმით, რომ ზოგიერთისთვის ის ლუკმაპურის შოვნის ერთადერთი გზაა. ეს ადგილი იმითაცაა ფასეული, რომ სწორედ აქ ჩამოდიან (ხშირად საგანგებოდაც!) უცხოეთიდან არა მარტო ხელოვნების რიგითი ტრფიალნი, არამედ ხელოვნების ნიმუშებით პროფესიონალი მოვაჭრეები, სპეციალიზებული მაღაზიებისა თუ სამხატვრო გალერეების მფლობელები, რომლებიც ჩვენებური მხატვრებისგან ევროპული სტანდარტებთან შედარებით ძალიან იაფად ყიდულობენ მხატვრულ ტილოებს, თავიანთ ქვეყნებში მიაქვთ და მათი გაყიდვით ხელსაც გვარიანად ითბობენ. ერთი ასეთი „ხელოვნების ბიზნესმენი“ ვინმე ტოლსტოი გახლდათ, საფრანგეთიდან, დიდი ლევ ტოლსტოის შთამომავალი, რომელიც ჩაბნელებულ, გამოციებულ 90-იან წლებში ჩვენთან ხშირ-ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე და აუარება ნამუშევარი მიჰქონდა. ასეთებიც არიან და სხვებიც, რომელთა ანგარების თუ სხვა მამოძრავებელი გრძნობების გარჩევა ნამდვილად არ არის წინამდებარე წერილის მიზანი, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ, ასე ვთქვათ, მათი „კატეგორიისდა“ მიუხედავად, ყველანი ჩვენი სტუმრები არიან და სტუმარს, უკაცრავად და, „ხელის გადაბანა“ რომ მოუნდეს, მისი „მეზობელთან“ შეყვანა მასპინძლისთვის არა თუ უხერხულობა, ნამდვილი თავის მოჭრაა. ასეთივე აუტანელი მდგომარეობაა რუსთაველის პროსპექტზეც, თუმცა კი ის უფრო ცენტრია, მხატვრებიც ნაკლებია, ამიტომ „გასაჭირის“ მოვლაც ოდნავ, მაგრამ მაინც უფრო ადვილია.

ჰოდა, ჩივიან თავის სატკივარს მხატვრები, ხალხური მრეწავები წვრილმანი საქონლით მოვაჭრეთა შემოსევის მოძალებას, ტუალეტისა და, ელემენტარულად, სასმელი წყლის, საზოგადოებრივი კვების თუნდაც მცირე ობიექტის უქონლობას. მთელი დღის მშიერმა კაცმა თუნდაც ხაჭაპური რომ ჭამოს და წვენი მიაყოლოს. ასეთი რამ, ვფიქრობთ, მარტო რაიონისა და ქალაქის მესვეურების კი არა, ყველა ჩვენგანის სირცხვილია. სხვა დროს სტუმართმოყვარეობით რომ ვიწონებთ თავს, უცხო კაცს განა აქაც (საკუთარს თავი რომ დავანებოთ!) არ სჭირდება ყურადღება? რა გახდა სასმელი წყლის შადრევნების დაყენება, სანაგვე ურნების საკმაო ოდენობით და თუნდაც რამდენიმე დროებითი ბიოტუალეტის დადგმა? თანაც სტუმარს პატივისცემა რომ უნდა, ცხადია, მაგრამ ან მხატვრებმა, ანდა, სულაც, ჩვენმა თანამოქალაქეებმა რა დააშავეს, „არაჩვეულებრივ გამოფენაზე“ თუნდაც თვალის გასახარებლად მისულები უკიდურესი დისკომფორტით რომ წუხდებიან?

ვფიქრობ, არაფერი და თუ აქამდე ამაზე ფიქრიც არავის ადარდებდა, ახლანდელი ხელისუფალნი, თბილისის საკრებულოს წევრები, თბილისის მერიაში მისული ახალი ხალხი (თუ არიან ასეთები საერთოდ!) ამ ერთი შეხედვით მარტივ, თუმცა კი, უაღრესად ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაზე იზრუნებენ.

ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, მათ მოქმედებას დავაკვირდებით.

**ოთარ ტურაბელიძე,**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

## ხსოვნა

# ნინო ზაალიშვილი

ქართველ მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა უაღრესად ნიჭიერი, განათლებული, თანამედროვე სახვითი ხელოვნების უბადრო მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მხატვარი **ნინო ზაალიშვილი**.

1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის განყოფილება, 1976 წელს კი პეტერბურგის რეპინის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. სტაჟირება გაიარა მოსკოვის ტელევიზიის საკავშირო ინსტიტუტსა და ერმიტაჟში.



ნინო ზაალიშვილი მუშაობდა სახვითი ხელოვნების მრავალ დარგში. გაფორმებული აქვს მრავალი ათეული წიგნი როგორც ქართველი მწერლების, ასევე უცხოელი ავტორების: ი. ცურტაველის „შუშანიკის წამება“, უ. შექსპირი „რომეო და ჯულიეტა“, „ქართული ზღაპრები“, „ფრანგული ზღაპრები“, ვ. ჰიუგო — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, ვ. ჰაუფის „ზღაპრები“, ა. სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“, ფ. დოსტოევსკის „იდიოტი“, „მეფეთა პოეზია“ და მრავალი სხვ.

შესრულებული აქვს ოფორტის სერიები: „შინ დარჩენილები“, „რაღაც საიდუმლოებით დაფარული“, „ბერძნული მოტივები“, „მუსიკა ქუთაისის ბულვარში“ და სხვ. შექმნილი აქვს ფერწერული ტილოები: „ბანოვანები არქეოპოლისიდან“, „კარნავალი“, „საზეიმო პროცესია“. პლაკატები: „სერვანტესი“, „მხატვრის კვირეული“, „თ. აბაკელია“, „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ და სხვ.

ნინო ზაალიშვილი 1974 წლიდან მონაწილეობდა თითქმის ყველა გამოფენაში, რომელიც კი გამართულა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ: „ქართული წიგნის გრაფიკა და ესტამპი“, „წიგნის მხატვრული გაფორმება, ექსლიბრისი და შრიფტი“ „საბავშვო წიგნის მხატვრები“, „გამარჯვების 30-ე წელი“, „გერმანული ლიტერატურა და მუსიკა ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში“, „ილუსტრაციის საერთაშორისო ბიენალე“ — თეირანი, იუნესკო, პარიზი, „საერთაშორისო საშობაო ფესტივალი“ თბილისი, „ფრანგული იმპრესიონიზმის 125 წელი და სხვ.

აღსანიშნავია ქ-ნ ნინოს გამოცემული თეორიული ნაშრომები: „თანამედროვე ქართული დაზგური გრაფიკის ზოგიერთი ტენდენცია“, „ოფორტი თანამედროვე ქართულ ილუსტრაციაში“, „ლ. გუდიაშვილის წიგნის გრაფიკა“, „თანამედროვე ქართული ხელნაწერი წიგნები“, „პიჩემიდან პიკასომდე“, „შექსპირის დასურათების ტრადიციები და ქართველი მხატვრები“, „ბერძენთა თემა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში“. ქ-ნ ნინოს წინასიტყვაობით გამოცემულია, აგრეთვე, ქართველ მხატვართა ნამუშევრების კატალოგები; გამოქვეყნებული აქვს უამრავი სტატია ცალკეულ მხატვართა შემოქმედებისა, გამოფენების და სამხატვრო ცხოვრების პრობლემებზე. განხორციელებული აქვს პროექტები: „საქართველოს მხატვართა კავშირის ტექნიკური აღჭურვა და არქივის აღდგენა“, „გამოფენა-იმპულსი“, „კედელი, რომელიც გვაერთიანებს“, „ლითოგრაფიის უორკშოპი“, „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“, ცნობარი — „ვინ ვინ არის თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“.

ნ. ზაალიშვილის ნამუშევრები დაცულია მოსკოვში, გერმანიის, ინგლისის, რუსეთის, საქართველოს კერძო კოლექციებში, ქუთაისის სამხატვრო გალერეაში.

მონაწილეობდა ფერმწერთა ქუთაისის III და IV საერთაშორისო პლენერებში; ლითოგრაფიის ქართულ-გერმანულ უორკშოპში, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებში; გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მიყავდა რუბრიკა — „XX საუკუნის ქართველი მხატვრები“; ალმანახ „ფრესკაში“ — ციკლი „ხელოვნების ისტორია“; მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში — გაკეთებული აქვს სატელევიზიო გამოცემის სერიები.

სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ქ-ნი ნინო ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში — იყო ისტორიისა და თეორიის კათედრის დოცენტი — 1996 წლიდან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარე.

მხატვართა საზოგადოებამ დაკარგა აქტიური, შრომისმოყვარე, დაუღალავი ადამიანი, ოჯახმა — მოსიყვარულე მეუღლე, დედა და ბებია.

წავიდა ჩვენგან უკეთილშობილესი, გულკეთილი, ყველასათვის თავდადებული, უსაყვარლესი ქალბატონი და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი, მისი უდროოდ წასვლით გამოწვეული ნაღველი, რომელიც დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების ხსოვნაში.

**საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირი**

## ალიან-ჩალიანი

### ბათუმის სასტუმროებში ბორდელები იყო გახსნილი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფისთვის სასტუმროების მფლობელები დააკავა. სამინისტროს ცნობით, აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დააკავეს ბათუმის სასტუმრო „სთარის“ მფლობელები: გელა ტ. და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე რამაზან ი, ასევე სასტუმრო „გენაცვალეს“ მფლობელი, თამაზ ა.

დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს. ისინი გადაყვანილი არიან ბათუმის დროებითი დაკავების იზოლატორში.

ამასთან, ერთ-ერთი სასტუმროს კლუბიდან ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებები „მარიხუანა“ და „ექსტაზი“.

შს სამინისტროს ცნობით, მოწმის სტატუსით დაიკითხნენ სასტუმროებში მომუშავე ქალბატონები.

გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ს 254-ე მუხლით (პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრელის გამოყოფა).

### „ციხის მაყურებლებს“ სპეციალური შტაბი გააკონტროლებს

ციხეებში ე.წ. მაყურებლების პრობლემის გადასაჭრელად, სპეციალური შტაბია შექმნილი, — ამის შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტროს ორგანიზებულ კონფერენციაზე ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე მიხეილ ღურწკაიამ განუცხადა.

მისი თქმით, ციხეებში ე.წ. მაყურებლები არსებობენ, თუმცა, ამ პრობლემის სწრაფად გადაჭრა ვერ მოხერხდება.

— რ მინდა სირაქლემას პოზიციაში ვიყო — მაყურებლები დაწესებულებებში არსებობენ. ეს 100 წელზე მეტი ხნის ჩამოყალიბებული ცნობიერებაა და სასწრაფოდ გადაჭრას არ ექვემდებარება. უკვე შექმნილია სპეციალური შტაბი, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებისთვის მუშაობს, თუმცა, ეს გრძელვადიანი პროცესი იქნება, — განაცხადა მიხეილ ღურწკაიამ.

ინტერპრესი

## ვუპასუხებთ მკითხველთა შეკითხვებს

### ქრისტეს სუდარა ნამდვილია?



**ამბობენ, რომ მეცნიერებმა დაადასტურეს ტურინის გარდამოხსნის – იესო ქრისტეს დაკრძალვის სუდარას სინამდვილე.**

**ჩვენი კომენტარი:** პადუის უნივერსიტეტში მოაწყვეს გარდამოხსნის ბოჭკოების გამოკვლევა, რომელზეც აღიბეჭდა გარდაცვლილი იესოს გამოსახულება. მისი ქსოვილი შეადარეს სხვებს – უძველესებიდან თანამედროვეებამდე. აღმოჩნდა, რომ ტილო შეიქმნა და მას იყენებდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წელსა და ჩვენი წელთაღრიცხვის 400 წელს შორის, და სულაც არა XIV საუკუნეში, როგორც ადრე სკეპტიკოსები ვარაუდობდნენ. თუმცა, თავად ანაბეჭდის ბუნება მაინც ვერ ამოიცნეს. „ღმერთის არსებობის დადასტურებათა ძიება უაზრობაა, – განუცხადა გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის" მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთმოქმედების სინოდის განყოფილების თავმჯდომარემ, დეკანოზმა ვსევოლოდ ჩაპლინმა. – მორწმუნე ადამიანის თვალსაზრისით მათი რაოდენობა მოჭარბებულია".

### გორბაჩოვი კვლავ „გარდაიქმნება"



**ამბობენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა და სსრ კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა წამოაყენა წინადადება მოვაწყოთ ახალი გარდაქმნა. დიდი ხანია, არ გარდავქმნილვართ?**

**ჩვენი კომენტარი:** ახალი გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ მიხეილ გორბაჩოვმა განაცხადა ამ დღეებში მოსკოვში საჯარო ლექციის დროს. „ვლადიმერ პუტინის მეორე საპრეზიდენტო ვადა ხსნიდა შესაძლებლობას ახალი სტრატეგიის რეალიზაციისთვის, მაგრამ ხელისუფლება სხვა გზით წავიდა, – განაცხადა უკანასკნელმა საბჭოთა გენერალურმა მდივანმა და სსრ კავშირის პირველმა (იგივე უკანასკნელმა) პრეზიდენტმა. – ყველაფერი ძველებურად დარჩა მედვედევის პრეზიდენტობის წლებშიც... ახლა ჩვენ მივედით ისეთ ეტაპამდე, რომ გადავწყვიტეთ გარდაქმნა. ჩვენ ქვეყნის მართვის ახალი სისტემა გვჭირდება". ქვეყნის მართვის მოქმედი სისტემის წარმომადგენლებმა, მათ შორის სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა „ერთიანი რუსეთიდან" იდეა გააკრიტიკეს.

პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა გორბაჩოვის გამონათქვამს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „მე არ მომისმენია გორბაჩოვის გამონათქვამი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გარდაქმნა ჩვენთან აღარ იქნება. ჩვენ გარდაქმნები საკმაოდ გვაქვს".

### ჩავესისგან მუმია შექმნეს?

**ამბობენ, რომ უგო ჩავესი ჯერ კიდევ არ დაუკრძალავთ? რა უქნეს მის ცხედარს?**



**ჩვენი კომენტარი:** კუბო უგო ჩავესის ცხედრით მოათავსეს სარკოფაგში რევოლუციის მუზეუმში, დიდ დარბაზში მცირე წყალსაცავის შუაში ყვავილის ფორმის ქვის ფუძეზე. როგორც რამდენიმე დღის წინათ ვენესუელის ვიცეპრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ განაცხადა, ბალზამირებისთვის საჭირო დრო ხელიდან გავუშვით (როგორც ლენინისა – რედ.): „სპეციალისტების აზრით, გერმანიიდან და რუსეთიდან, გადაწყვეტილება პროცედურის განხორციელების შესახებ უნდა მიგვეღო გაცილებით ადრე". მაშასადამე, კომანდანტეს კუბოში დარჩილულ სხეულს მოუწევს ბანალურად დაძველება და ხმობა.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### „მე არასოდეს მომითხოვია სამცხე-ჯავახეთის საქართველოდან გამოყოფა"

რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა ინფორმაციამ ვაჰაგნ ჩახალიანის გარდაცვალების შესახებ დიდი რეზონანსი გამოიწვია, თუმცა, ეს ამბავი დეზინფორმაცია აღმოჩნდა. ის ცოცხალია და თავს მშვენივრად გრძნობს.

„ჩემ წინააღმდეგ გამართული კამპანია, – ამბობს ჩახალიანი, – მას შემდეგ დაიწყო, რაც 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნებში გავიმარჯვე. „ნაციონალებს" იქ „თავისი კაცი" უნდოდათ და მე ამ მიზნის მიღწევაში ხელს ვუშლიდი. რამდენჯერმე დამაპატიმრეს, ხან საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის, ხან „უკანონო იარაღის" აღმოჩენისთვის... მე არასოდეს მომითხოვია სამცხე-ჯავახეთის საქართველოდან გამოყოფა და არც ავტონომიის შექმნის ინიციატორად გამოვსულვარ. ეს არის „ნაციონალების" მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია. აგრეთვე, უსაფუძვლოა სეპარატიზმში ჩემი დადანაშაულება, ჩვენს მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე ასეთი მოთხოვნები არასოდეს ყოფილა და ამაში თვითონ დარწმუნდებით, თუ მიტინგების ვიდეოჩანაწერებს ნახავთ. მე ახლაც აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ვეწევი, მაქვს შეხვედრები, ვაკეთებ განცხადებებს და ვცდილობ, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები თბილისამდე მივიტანო.

„რეზონანსი"

### „კოდორის ხეობაზე შოკისმომგვრელ ინფორმაციას გავავრცელებ"

– გვპირდება კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი, რომელიც მოუთმენლად ელოდება საქართველოში დაბრუნებას.

– კოდორზე ბევრი რამე მაქვს სათქმელი. ამას მაშინ ვიტყვი, როცა საქართველოში ჩამოვალ. ჩემი განცხადება იქნება დიდი სკანდალი. ეს ამბავი ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ მოეწონებათ. ბევრ რამეს მოეფინება ნათელი და ისიც გაირკვევა, რატომ ჩააბარეს მოწინააღმდეგეს კოდორის ხეობა.

„ახალი თაობა"

### კობა დავითაშვილი ჯანდაცვის მინისტრს უპირისპირდება და კორუფციულ გარიგებაში ამხელს!!!

– ჯანდაცვის სისტემაში ძალიან ბევრი პრობლემაა, ჩვენთან ჯანდაცვა არის ძალიან ცუდად ორგანიზებული, ისე ცუდად, რომ მსგავსი რამ მსოფლიოში არ ხდება. დღეს ჯანდაცვა ორგანიზებულია ასე – სადაზღვევო პოლისები აქვთ უმწეოებს, პენსიონერებს და 6 წლამდე ბავშვებს. ამ პოლისებს იძენს სახელმწიფო კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან ან სადაზღვევო ფული მიდის კერძო სადაზღვევო კომპანიებში და შემდეგ ამ ფულს ისინი პაციენტებს ახმარენ, მაგრამ ამ ფულის უდიდესი ნაწილი რჩება სადაზღვევო კომპანიებში. ეს თანხა შეადგენს 57 პროცენტს, რომელიც ხმარდება სადაზღვევო კომპანიის ადმინისტრაციას და თანხის ნახევარზე მეტი პაციენტამდე არ მიდის. ეს თავისთავად ნონსენსია და აფსურდი. ასეთი სისტემა მსოფლიოში არ არსებობს.

„ქრონიკა"

### „სააკაშვილი კი არ უნდა დაიკითხოს, არამედ სასწრაფოდ უნდა დააპატიმრონ!"

– აცხადებს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძე, – შევარდნაძეს არ აპატიეს ის, რომ აფხაზეთის პრობლემა უკვე პრაქტიკულად მოგვარებული იყო. დიახ, ხმამაღლა ვამბობ, შევარდნაძე გადააყენეს იმიტომ, რომ აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში არ დაეშვათ... საერთოდ, ვინ არიან ეს „პეტუხები", ამდენს რომ ბედავენ? რა საჭიროა ამდენი ლოიალობა, ჩაავლე ხელი, შეყარე ციხეში და დაამთავრე მაგათი ისტორია.

„ასავალ-დასავალი"

### იუსტიციის სახლის დეფექტები

მიხეილ სააკაშვილის დაჟინებით უმოკლეს დროში აშენებულ და ელვის სისწრაფით გახსნილ იუსტიციის სახლში პრობლემების მოგვარებას ვერ აუდიან. ახლახან დაიკეტა იქვე მდებარე ავტოსადგომი, რომელსაც ჩანგრევის საფრთხე დაემუქრა, უზარმაზარ დარბაზში ჯერ დაუსრულებელია მთელი რიგი სამუშაოები, რომელთა დამთავრებასაც სამეურნეო ნაწილი ორ თვეში ვარაუდობს. აქ ხან სახურავი ვარდება, ხანაც ძლივს ჩართული სავენტილაციო სისტემა გამოდის მწყობრიდან და ხალხი უჰაერობის გამო გონებას ან შრომის უნარს კარგავს.

„კვირის პალიტრა"

## იურიდიული კონსულტაცია

### რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

**კითხვა: 2 თვეში მიწევს დეკრეტულ შვებულებაში გასვლა, მაქვს მხოლოდ 5 თვის შრომის სტაჟი, მომეცემა თუ არა ფასიანი და უხელფასო დეკრეტული შვებულება და როგორი წესით მოხდება მისი გამოანგარიშება?**

**მარიკა მჭედლიშვილი**

პასუხი: შვებულება ორსულობისა და მშობიარობის ასევე ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღის ოდენობით მოგეცემათ მიუხედავად შრომის სტაჟის ხანგრძლივობისა, რაც შეეხება საშვებულებო ანაზღაურებას, იგი გამოანგარიშებული უნდა იქნეს ფაქტობრივად ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო თუ ყოველთვიურად ფიქსირებულ ხელფასს იღებთ – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

**კითხვა: 2013 წლის თებერვალში სამუშაოდან გამათავისუფლეს შტატების შემცირების მოტივით, დღემდე საბოლოო ანგარიში არ გაუსწორებიათ, მეკუთვნის დამატებით 1 თვის ხელფასი?**

**მერაბ ლობჟანიძე**

პასუხი: დიახ, გეკუთვნით, ვინაიდან შტატების შემცირების დროს შრომის ხელშეკრულების მოშლის ინიციატორად დამსაქმებელი ითვლება. ამდენად დასაქმებულს საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს (რომელიც სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან არაუგვიანეს 7 დღეში უნდა მოხდეს), დამატებით არანაკლებ 1 თვის ხელფასი აუცილებლად უნდა მიეცეს (საფუძველი: საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

**ტელ: 595 05-11-77**

## ანეკდოტები

**ახლახან** სტრიპტიზკლუბში ვიყავი. მოცეკვავე გოგოს ბიკინებში 50 დოლარი ჩავუტენე და იქიდან 100 ევრო ამოვაცალე. კიდეც დავისვენე და ფულიც ვიშოვე.

* * *

– აბა, სად არის ბედნიერი წყვილი? – კითხულობს ფოტოგრაფი ქორწილში.

– აი, აგერ, – უპასუხებს ერთ-ერთი სტუმართაგანი, – პატარძალი და დედამისი.

* * *

**გინდათ,** რომ სასარგებლო იყოთ საზოგადოებისთვის? გინდათ, რომ გოგონები თქვენს შესახვედრად გამორბოდნენ ან სულაც დაგდევდნენ? გინდათ, რომ მოუთმენლად გელოდნენ ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ამინდში? – ავტოსატრანსპორტო საწარმო გიწვევთ ავტობუსის მძღოლად სამუშაოდ!



**ქმარი** ორიოდე საათით აპირებს სამსახურში წასვლას კაბინეტის მოსაწესრიგებლად. იცვამს ჯინსსა და მაისურს.

– ძვირფასო, – ეუბნება მისი ჩაცმულობის შემხედვარე ცოლი, – ასე როგორ შეიძლება წასვლა: ჯინსები ჭუჭყიანია, მაისური – დაჭმუჭნული... უმჯობესია, გამოიცვალო.

– რა პრობლემაა, – ეუბნება ქმარი, – გამოვიცვლი. შედის საძინებელში, იცვამს ნორმალურ შარვალს, პერანგს, იკეთებს ჰალსტუხს.

– ეჰე, ნეტავ სად მიბრძანდები ასე გამოპრანჭული, ყმაწვილო? – ეუბნება ცოლი.

* * *

**მოსახლეობის** მხოლოდ ერთმა პროცენტმა თუ იცის, რომ ტანსაცმლის იარლიყი იმის გარკვევას ემსახურება, თუ როგორ უნდა მოუარო მას – როგორ გარეცხო, როგორ გააუთოო და ა. შ. დანარჩენი 93 პროცენტი კი მას მხოლოდ წინა და უკანა მხარის გასარჩევად იყენებს.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24